პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 3 (19744) კვირა, 4 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ახალი წლის პირველი დღეებია:

შრომოზენ ახალი მნერგიით

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ნაყოფიერად, დამკვრელურად შრომობს სსრ კავშირის საგარანტიო მშენებლობის სამინისტროს №12 ხიდსაშენებელი ტრესტის კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა შარშანდელი გეგმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. საექსპლოატაციოდ გადაეცა 90 ობიექტი, თანაც ისინი აშენდა არა მარტო საქართველოში, არამედ აგრეთვე სომხეთში, აზერბაიჯანში, სტავროპოლის მხარეში, როსტოვის ოლქში, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქებში, ასტრახანში. მთავარი ნაგებობანი აშენდა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზაზე, კავკასიონის მთავარ ქედზე გამავალ საავტომობილო გზაზე, მდინარეებზე სულაკსა და ურავზე. გეგმის გადამეტებით შესრულებულია 300 ათასი მანეთის სამუშაოები.

ასევე რიტმულად დაიწყეს ახალი წელი მაგნიტოგორსკის სამთომამდიდრებელი კომბინატის მშრომელებმა, რომელებმაც ვადამდე შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამომუშავებისა და რეალიზაციის შარშანდელი გეგმა. მისი მატება მიღწეულია ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. მთელი პროდუქცია მაღალი ხარისხისაა.

ამ დღეებში სიჩქარის შეუზღუდავად გადიან მატარებლები ამიერკავკასიის მაგისტრალის მცხეთა-კასპისა და მეტეხი-გორის მონაკვეთებს, რომელსაც თბილისის საელექტროგადამცემ ქსელის მუშაკების ვ. გეჯაძისა და ნ. კეკელაშვილის ბრიგადები ემსახურებიან. აღსანიშნავია, რომ მათ პირველებმა უპატაკეს სამშობლოს შარშანდელი წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულება.

— ყველგან რომ მიეღწიათ ასეთი შედეგისათვის, ამიერკავკასიის რკინიგზის დეპოქალაქის განყოფილება შეძლებდა დამატებით ყოველწლიურად გადაეზიდა ასეულათასობით ტონა ტვირთი, — თქვა განყოფილების უფროსმა ნ. ქარუმიძემ.

მაგრამ ჯერჯერობით ეს იდეალია, თუმცა როგორც წარმოების მოწინავეთა მუშაობის გამოცდილება მოწმობს, მისი მიღწევა სავსებით შეუძლიათ ღიანდაგის მომსახურებასა და რემონტზე დასაქმებულ სხვა კოლექტივებსაც.

ასეთი მიჯნა უკვე დაისახა ფოლადის მაგისტრალების ნოვგოროთა ბევრმა კოლეგამ, რომელთა უმრავლესობამ გეჯაძესთან და კეკელაშვილთან გაიარა სკოლა.

გორის რაიონის ტყვიავის მეხიეიობის კოლმეურნეობაში აშენდა სასაქონლო მერძევეობის ფერმა 200 სული საქონლისათვის. ეს აქ მეცხოველეობის აღმავლობის დასახული პროგრამის განხორციელების ერთ-ერთი ეტაპია.

გასული ხუთწლეულის დამლევს კოლმეურნეობის გამგეობამ გადაწყვიტა მეურნეობისათვის დიდმნიშვნელოვანი დარგის ინტენსიფიკაცია. და აი პირველი შედეგი — პირუტყვის სულადობა 1200-დან 8 ათასამდე გაიზარდა. აქ აშენდა თანამედროვე ფერმები, ახალი საღორეები და ფარეხები. განსაკუთრებით საგრძნობია საქონლის ჯოგის ზრდა: მან ორი ათას სულს მიაღწია.

ტყვიაველები დიდ იმედს ამყარებენ სოლომაუზე, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ გადავიდნენ წარმოების უნარჩენო ტექნოლოგიაზე — გამოიყენონ მარცვეულისა და ხიტის ნარჩენები. ნოყიერი საკვები პროდუქტი, რომელიც თავისი ყუათიანობით სენაჟს აღემატება, უზრუნველყოფს პირუტყვის მაძღრისად გამოზამთრებას და, მაშასადამე, წველადობის, პირუტყვის საშუალო საღღეღამისო წონა-მატების გაზრდას.

კოლმეურნეობის სპეციალისტების მიერ შემუშავებული მეცხოველეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა მიმდინარე წელს ითვალისწინებს მეღორეობის ფერმების ნაგებობებისა და დამატებითი ზამთრის ფარეხების მშენებლობის დამთავრებას. მომდინარე წლიდან პირუტყვის სულადობა ტყვიავის კოლმეურნეობაში ათი ათასამდე უნდა გაზარდონ.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა შორის ახალი წლის პირველი ღღეებიდანვე გაშალა სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ თბილისის პატონის სახელობის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხნის მშრომელები, რომელებმაც ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს შარშანდელი საგეგმო დავალებები.

შრომითს მეტოქეობაში მაგალითის მომცემნი არიან მოწინავე ბრიგადები; რომელებსაც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. მარტიროსკო, რ. ტაბატაძე, თ. მაზანაშვილი და ი. კოსაკოვი ხელმძღვანელობენ. ისინი მაქსიმალურად იყენებენენ სამუშაო დროს და შარშანდელი დავალებანი ჯერ კიდევ ნოემბერში შეასრულეს.

ღღეისათვის ქარხანაში მომუშავე თითოეული მუშა ასრულებს გამომუშავების ნორმებს, წარმატების საფუძველია ყოველდღიური ინტერესი შეჯიბრების მოწინავეთა მუშაობისადმი, შემოქმედებითი თანამგზავრობას ატმოსფეროს დამკვიდრება, მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა.

სამზეო სახელოვნებისა

ამ ოთხი ათეული წლის წინათ ყიზლარში მოზამთრე საქართველოს მომთაბარე რაიონების ცხვრის ფარები მშობლიური იალაღებისაკენ მოდიოდნენ. მაშინ სოინელმა ყმაწვილმა გივი სეთურიძემ გადაწყვიტა იშჩორსკაიაში ჩასვლა.

— იშჩორსკაიაში რა გინდა?! — გაკვირვებით შეიცხადა დედამ.

— რა მინდა და მამაჩემს შევეცვლები ტრასაზე, დაღლილი იქნება, იმას შინ გამოვეზავნი, მე კი ცხვარს გამოვყვები...

— ბიჭო, რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი?!

— არა, დედავ, არ გაგიჟებულვარ, სერიოზულად გეუბნები! — ღიმილით უთხრა გივიმ.

— ციცქნა ბალღმა იქ რა უნდა გააკეთო, მეცხვარეობა შენ კოჭის გაგორება ხომ არ გგონია. მამაშენი ცხვარში ბერდება, იმას უჭირს და...

— თავი დაანებე, დედავ, არ იცი გივის ჯიუტი ხასიათი, ერთი თუ დაიჩემა, წინ ვერაფერი დაუდგება, — დაამშვიდა უფროსმა ქალიშვილმა.

... ასე დაიწყო გივი სეთურიძის ძნელი, ათასნაირი ხიფათითა და მოულოდნელობით აღსავსე ვაჟკაცური გზა. ორმოცი წლის მანძილზე მშენებლობის წარმატებით დასრულება, რაც შექმნის ინტენსიური მოძრაობის საშუალებას, თორემ განსაკუთრებული დანიშნულების მანქანები ახლაც გადიან გვირაბში.

საუკუნის ამ გიგანტური მშენებლობიდან მეორე, უფრო რთულ უბანზე გადავინაცვლეთ, თქვა გივი ყიფიანმა. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი უმოკლესი რკინიგზითაც უნდა დავუკავშიროთ ჩრდილოეთს. ჩვენი მეცადინეობა ამ საკითხზე ბევრ ლაპარაკობენ, 45 მილიონი მანეთის სამუშაოების პირნათლად შესრულება იოლი როდი იყო. კავკასიონის მაღალი ქედი, მისი სიგანე, ღრმა ხევები, ბობოქარი მდინარეები, ციცაბო, დასერილი მთები, მეწყრები და ზვავები ართულებდა საქმეს. მაგრამ თანამედროვე სამამულო და საზღვარგარეთული ხელსაწყოების, დანადგარებისა და მანქანების მეშვეობით გული გავუხსენით კავკასიონს. გამოვზიდეთ 600 ათასი კუბური მეტრი ქანი, ჩაეწყო 200 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და 100 ათასი კვადრატული მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციები. ძვირფასი ქვებით მოპირკეთდა გვირაბის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარიბჭე. მოკრიალდა სავალი გზა. აიგო ზვავსაცავი გალერეები. ყველა პირობაა შექმნილი უხიფათო მგზავრობისათვის.

საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა კვლავ გრძელდება, ახლა მთავარია ცხინვალის ასაქცევი გორი-გუფთის გზის მშენებლობის წარმატებით დასრულება, რაც შექმნის ინტენსიური მოძრაობის საშუალებას, თორემ განსაკუთრებული დანიშნულების მანქანები ახლაც გადიან გვირაბში.

ლოდ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი ხელმძღვანელობდა.

ათი წლის შრომა აღსავსეა მამაცობისა და ვაჟკაცობის მაგალითებით. ამ მშენებლობამ ბევრ მოუტანა სახელი და დიდება. აქ განსაკუთრებული სიამაყით წარმოთქვამენ გვიარბგამყვანთა მე-13 რაზმის ხელმძღვანელის გივი ყიფიანის (მას ვასთარჯი — გზის ღვთაება შეარქვეს), ჩრდილოეთის მხრიდან გვირაბის გამყვანთა მეთაურის გივი ნიკოლაიშვილის, ცალის უფროსების თენგიზ გოლეთიანისა და გიორგი ტასოევის, № 13 საგვირაბო რაზმის ყოფილი და ახლანდელი მთავარი ინჟინრების ზურაბ თოფურიას და რუდიკ ვართანოვის, როკის ობიექტის ყოფილი და ახლანდელი უფროსების გ. გაგნიძისა და ბ. გაჩეჩილაძის, მებულდოზერე გივი ბერძენიშვილის, მექანიკვატორე უშანგი თხელაძის და სხვათა სახელებს, რომლებმაც მთელი ცოდნა და ძალონე მოახმარეს გვირაბის მშენებლობას.

გვიარაშგამყვანთა უცვლელმა ბრიგადირებმა ამირან ბიკოევმა და გიორგი ხეცურიანმა საკავშირო რეკორდი დაამყარეს — ურთულეს პირობებში ერთ თვეში გაიყვანეს 100 მეტრი გვირაბი. ამირან ბიკოევს საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის წოდება მიენიჭა.

ვინ დათვალოს სახელოვან გვირაბგამყვანთა სახელები. ყოველდღიურად ობიექტზე 300-ზე მეტი კაცი მუშაობდა.

რთულ პირობებში ვშრომობდით, — თქვა გივი ყიფიანმა. — საინჟინრო-ტექნიკური თვალსაზრისით ასეთი დიდი გვირაბის გაყვანა ზღვის დონიდან 2100 მეტრ სიმაღლეზე, 45 მილიონი მანეთის სამუშაოების პირნათლად შესრულება იოლი როდი იყო. კავკასიონის მაღალი ქედი, მისი სიგანე, ღრმა ხევები, ბობოქარი მდინარეები, ციცაბო, დასერილი მთები, მეწყრები და ზვავები ართულებდა საქმეს. მაგრამ თანამედროვე სამამულო და საზღვარგარეთული ხელსაწყოების, დანადგარებისა და მანქანების მეშვეობით გული გავუხსენით კავკასიონს. გამოვზიდეთ 600 ათასი კუბური მეტრი ქანი, ჩაეწყო 200 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და 100 ათასი კვადრატული მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციები. ძვირფასი ქვებით მოპირკეთდა გვირაბის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარიბჭე. მოკრიალდა სავალი გზა. აიგო ზვავსაცავი გალერეები. ყველა პირობაა შექმნილი უხიფათო მგზავრობისათვის.

საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა კვლავ გრძელდება, ახლა მთავარია ცხინვალის ასაქცევი გორი-გუფთის გზის მშენებლობის წარმატებით დასრულება, რაც შექმნის ინტენსიური მოძრაობის საშუალებას, თორემ განსაკუთრებული დანიშნულების მანქანები ახლაც გადიან გვირაბში.

მეგობრობის გზა

გვირაბი მზად არის

დამთავრდა ტრანსკავკასიის საავტომობილო გზის როკის საუღელტეხილო გვირაბის გაყვანა. ეს უნიკალური, ჩვენს ქვეყანაში უდიდესი — 3700 მეტრი გვირაბია.

ლამპიონებით გაჩახჩახებული საიმედოდ ნაგები გვირაბი უსაფრთხო და მოსახერხებელია. აქ ყოველგვარი ტრანსპორტი თავისუფლად იმოძრავებს ორ რიგად.

ახალშოლსწინა დღეებში სახელმწიფო კომისიამ კარი შეფასება მისცა „თბილისგვირაბმშენის“ № 13 და № 15 გვირაბგამყვანთა რაზმების შრომას. გახარებული არიან გვირაბგამყვანები, რომ ამირერდან მათი თავდადებული შრომის ნაყოფი საბჭოთა ხალხს სამსახურში ჩადგება. ამ დღეს მოუმზადლად ელოდნენ ისინი. ცხინვალიდან ორჯონიკიძემდე გზა 100 კილომეტრით შემცირდა. გაიკვლა გვირაბს და სულ ორსაათნახევარში ორჯონიკიძეში იქნები.

სათაყვანო სახელები

ახლა ყველგან იმაზე ლაპარაკობენ, რაც გაკეთდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული კომიტეტის ზრუნვის შედეგად. გვირაბის მშენებლობის ოპერატიულ შტაბს უშუალოდ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი ხელმძღვანელობდა.

ათი წლის შრომა აღსავსეა მამაცობისა და ვაჟკაცობის მაგალითებით. ამ მშენებლობამ ბევრ მოუტანა სახელი და დიდება. აქ განსაკუთრებული სიამაყით წარმოთქვამენ გვიარბგამყვანთა მე-13 რაზმის ხელმძღვანელის გივი ყიფიანის (მას ვასთარჯი — გზის ღვთაება შეარქვეს), ჩრდილოეთის მხრიდან გვირაბის გამყვანთა მეთაურის გივი ნიკოლაიშვილის, ცალის უფროსების თენგიზ გოლეთიანისა და გიორგი ტასოევის, № 13 საგვირაბო რაზმის ყოფილი და ახლანდელი მთავარი ინჟინრების ზურაბ თოფურიას და რუდიკ ვართანოვის, როკის ობიექტის ყოფილი და ახლანდელი უფროსების გ. გაგნიძისა და ბ. გაჩეჩილაძის, მებულდოზერე გივი ბერძენიშვილის, მექანიკვატორე უშანგი თხელაძის და სხვათა სახელებს, რომლებმაც მთელი ცოდნა და ძალონე მოახმარეს გვირაბის მშენებლობას.

გვიარაშგამყვანთა უცვლელმა ბრიგადირებმა ამირან ბიკოევმა და გიორგი ხეცურიანმა საკავშირო რეკორდი დაამყარეს — ურთულეს პირობებში ერთ თვეში გაიყვანეს 100 მეტრი გვირაბი. ამირან ბიკოევს საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის წოდება მიენიჭა.

ვინ დათვალოს სახელოვან გვირაბგამყვანთა სახელები. ყოველდღიურად ობიექტზე 300-ზე მეტი კაცი მუშაობდა.

რთულ პირობებში ვშრომობდით, — თქვა გივი ყიფიანმა. — საინჟინრო-ტექნიკური თვალსაზრისით ასეთი დიდი გვირაბის გაყვანა ზღვის დონიდან 2100 მეტრ სიმაღლეზე, 45 მილიონი მანეთის სამუშაოების პირნათლად შესრულება იოლი როდი იყო. კავკასიონის მაღალი ქედი, მისი სიგანე, ღრმა ხევები, ბობოქარი მდინარეები, ციცაბო, დასერილი მთები, მეწყრები და ზვავები ართულებდა საქმეს. მაგრამ თანამედროვე სამამულო და საზღვარგარეთული ხელსაწყოების, დანადგარებისა და მანქანების მეშვეობით გული გავუხსენით კავკასიონს. გამოვზიდეთ 600 ათასი კუბური მეტრი ქანი, ჩაეწყო 200 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და 100 ათასი კვადრატული მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციები. ძვირფასი ქვებით მოპირკეთდა გვირაბის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარიბჭე. მოკრიალდა სავალი გზა. აიგო ზვავსაცავი გალერეები. ყველა პირობაა შექმნილი უხიფათო მგზავრობისათვის.

საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა კვლავ გრძელდება, ახლა მთავარია ცხინვალის ასაქცევი გორი-გუფთის გზის მშენებლობის წარმატებით დასრულება, რაც შექმნის ინტენსიური მოძრაობის საშუალებას, თორემ განსაკუთრებული დანიშნულების მანქანები ახლაც გადიან გვირაბში.

ყვავილები თოვლზე

უკვდავება ხალხისთვის თავდადებულთა ხვედრია. ამაში ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, თუ ამ დღეებში ესტუმრებით როკს; გზადაგზა ნახავთ ყვავილებს. ამ დღეს ქალაქთა თოვლზე წითელი მიხაკები და ვარდისფერი ქრიზანთემები შევნიშნეთ. სოფელ ვანელში ყვავილებით შეემკოთ ოსი საზოგადო მოღვაწის, საუღელტეხილო გზის ერთ-ერთი ინიციატორის ინჟინერ რუთენ გაგლოევის ძეგლი, როკაში კი — ამ გზის დამპროექტებლების, აქ ტრაგიკულად დაღუპული რუსი ინჟინრების ძეგლი.

ნეტავ ამ ბიდნიერ დღეს მოსწრებოდნენ, თქვა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა, პერსონალურმა პენსიონერმა თინა ბახტაძემ...

მაშინ ზეიმს სხვა ეშხი ექნებოდა.

გზის მშენებლობამ დაცარიელებული მომხლეური სოფლებისაკენ უბრუნა პირი ახალგაზრდობას. ისევ გიზგიზებს ცეცხლი კერაზე. მაღალი მთის სოფლებს სიცოცხლე უბრუნდება.

გზის გაყვანა სიცოცხლის დამკვიდრებას ნიშნავს. იგი სინათლეა. მეგობრობის არტერიაა, მით უმეტეს — ტრანსკავკასიის საავტომობილო მაგისტრალი, რომელსაც მშენებლობის პერიოდშივე ხალხმა მეგობრობის გზა შერქვა.

გ. თოდუაევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათებზე: ლიტვის სსრ. კაუნასის უნიკალურ მაღაზიაში „მერკურიუსში“ ეპატიჟება კაუნასელებს თოვლის პაპა: „შემოიარეთ „მერკურიუსში“, ყველაფერი გვაქვს თქვენთვის!“.

ათასშრავ ელვარებს საახალწლო ნაძვისხე სტოლეშნიკოვის შესახვევში (მოსკოვი).

სიხარულით დახვდნენ თოვლის პაპას და ფიფქიას ულიანოვსკის ვოლგისგადმა რაიონის ახლად აშენებულ პურის ქარხანაში. ძვირფას სტუმრებს ცხელ-ცხელი პურით გაუმასპინძლდნენ. ხაბაზები დაპპირდნენ, მალე ქალაქი გაივსებაო გემრიელი პურ-ფუნთუშეულით.

ყირგიზეთი. სრულიად უნიკალურია ცისფერი ნაძვი, რომლის ტყეებს დიდი ფართობი უკავია ყაზახეთში, ყირგიზეთში და განსაკუთრებით ისიკ-ქოლის ოლქში. ამ მძლავრ ხეს, რომლის სიმაღლე 40-50 მეტრს აღწევს, ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობაში, იგი იცავს ნიადაგსა და წყალს, ჯანსაღებს და ასუფთავებს ჰაერს. საახალწლო ჩაის სმა ტიანშანურ ცისფერ ნაძვებთან. ტელეოკლუბჩინსკის სატყეოს მშრომელებს ესტუმრნენ აკ-სუის ხალხური ანსამბლის მსახიობები.

საკდესის ფოტოკორონიკა.

სამზეო სახელოვნებისა

ცხვარი გიმრავლოთ, სოინელებო!

სოინელთა ეს და სხვა მრავალი სასახელო საქმენი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. კომეურნეობა დაჯილდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, შესაბამისი პროფსაბჭოს და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

სოინელთა საერთო წარმატებაში მეცხვარეობის ფერმის მოწინავე ბრიგადირის გივი სეთურიძისა და მის თანამოსაქმეთა დიდი წვლილიც არის. გ. სეთურიძის ბრიგადის შრომითი ციფრები ასეთია: ბრიგადას 1500 სული ცხვარი ყავს. ყოველ 100 სულ ცხვარზე ნაცვლად 84-ისა მიღებული და შენარჩუნებულია 97 ბატკანი. პარსვის პერიოდში თითოეულ ცხვარზე ნაცვლად 2,8 კილოგრამისა მიღებულია 2,8 კილოგრამი მაღალი ხარისხის მატყლი, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა. ბრიგადაში მკვეთრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა ცენტნერი ხორცისა და მატყლის თვითღირებულება. შედეგი მართლაც რომ საამაყოა.

კახპიისპირეთში გამგზავრების წინ შეეხვდით სახელოვან ბრიგადირს და საბრძანებელ გეგმების ამბავი ვკითხეთ.

— მეორმოცდაერთედ მივდივარ ყიზლარში, — გვითხრა მან, — ამ ხნის მანძილზე ჩვენს ბრიგადას სამეურნეო მაჩვენებლები ცუდი არასოდეს ჰქონია. წარმატებების „საიდუმლოსაც“ ვეტყვით. ბრიგადას წლების მანძილზე მუდმივი მუშახელი ყავს. ვინ არიან მწყემსები? თითქმის ერთი ოჯახის წევრები. ჩემთან ერთად მუშაობენ ჩემი ვაჟიშვილები — ალექსი და ონისე. როგორც კი საშუალო სკოლა დამთავრეს, სამუშაოდ ცხვარში წამოვიდნენ. დანარჩენი მწყემსებიც ჩემი ახლო ნათესავები არიან: ბიძაშვილები, მამიდაშვილები და დეიდაშვილები. ერთი სიტყვით, ჩვენი ბრიგადა ოჯახური ოჯარით მუშაობს.

ახლა ოჯარული ბრიგადის სიკეთეზე ბევრს ლაპარაკობენ. მაგრამ, ჩემი აზრით, ოჯარულ ბრიგადასთან შედარებით ოჯახურ ოჯარას გაცილებით მეტი სიკეთე და სარგებელი მოაქვს. აქ ერთი ოჯახის წევრები მუშაობენ, სადაც მთლიანად გამორიცხულია დაუდევრობა, გულგრილობა და უპასუხისმგებლობა. კარგი და ბევრი სარგებლის მომტანია ოჯახური ოჯარა. თუკი საქართველოს მეცხვარეობის რაიონებში ყველგან ოჯახური ოჯარული ბრიგადები შეიქმნება, იმდენი ცხვარ-ბატკანი ეომრავლდება, რომ ალბათ, ჩვენი მთა-ბარი ვეღარ დაიტევს.

რაც შეეხება გამოზამთრების საკითხს, ახლახან მე და ჩემი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. გელაძე, უფროსი ზოოტექნიკოსი ვ. ელოშვილი რამდენიმე დღით ვიყავით ყიზლარში, მთელი მინდორი მოვიარეთ, მეცხვარეთა საცხოვრებელი ბინები და ცხვრის საგეგმო ფარეხებიც დავათვალიერეთ. ბინათმშენებლებისა და საკვებმომპოვებლების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის! ყველაფერი წესრიგში მოუყვანიათ. ახლა კი ჯერი ჩვენზეა. დარწმუნებული ვიყავით, რომ მეცხვარეობის საქმის შემდგომი აღმავლობისათვის ყველაფერს ვიღონებთ.

ვ. ჩქარეული,
ყაზბეგის რაიონული გაზეთის „დარიალის“ რედაქტორის მოადგილე.

სურათზე: გ. სეთურიძე.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის თ. ხუციშვილის ნახატი.

ფითილწყარო

აგროსამრეწველო კომპლექსი — სადღეისო საზრუნავი

ფელიფადში 600 ტონა ხორცი

საფუძველი ჩაეყარა ღორების სასუქებელ კომპლექსს, რომელიც წელიწადში მოსახლეობას 600 ტონა ღორის ხორცს მიაწვდის. თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარ-მოწყობილობით აღჭურვილი და ზოოვეტმომსახურებით უზრუნველყოფილი მეურნეობა საყრდენ-საჩვენებელი იქნება რაიონის სხვა საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის.

ხარისხისათვის

სარძეო ფერმებიდან რძის გადაზიდვა მეთაურ ქარხნამდე, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში, დაკავშირებულია პროდუქციის ხარისხის გაუარესებასთან და დანაკარგებთან. ამიტომ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ თავისი სახსრებით პირველად გადამუშავების რძის მიმღები პუნქტები მოაწყო „ოლეზე“, „ლაზნის ველზე“ და „ზილიჩაში“, სადაც ძირითადად განლაგებულია მეცხოველეობის ფერმები.

ფლის ყოველ დროს

რაიონის კოლმეურნეობებს აქვთ იმის საშუალება, რომ აწარმოონ იმდენი ხილი და ბოსტნეული, რამდენიც რაიონის მოსახლეობას მაინც დაკმაყოფილებს, მაგრამ, ძნელი იყო მისი შენახვა ზამთრისათვის.

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ ეს საკითხიც გადაჭრა, შეუდგა 100 ტონა პროდუქციის ტევადობის ზამთრის საცავის და სავაჭრო პავილიონის მშენებლობას რაიონის ცენტრში, რომლის დამთავრების შედეგად ხილ-ბოსტნეული წლის ყოველ დროს გაიყიდება.

ახალგაზრდული კლუბი

რაიონს ბევრი სახელოვანი ახალგაზრდა კოლმეურნე ჰყავს. აგროსამრეწველო გაერთიანებამ გამოყო 70.000 მანეთი, რომელიც ახალგაზრდა მექანიზატორთა კლუბის მშენებლობას მოხმარდება.

ვლ. მჟელდიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად ასრულებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებას „ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ“ და მიიღო ამ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილება.

აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის საინსტიტუტოს კოლეგიამ და პირადად მინისტრმა ს. პ. ბურნაკოვმა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გამოიჩინეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიებისადმი, როგორიც არის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ხელფასის გადიდება, რაც სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად ხორციელდება. ამ საკითხში საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი დაუშვეს აგრეთვე ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 30 ნოემბრიდან.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, მისმა ზოგიერთმა ადგილობრივმა ორგანომ კონტროლი არ დაუწესეს არც ხელფასის გაკეთებას. ამან გამოიწვია ის, რომ მისი გადიდებული ოდენობით გაკეთდა ქვეყნის მეტ წილ რეგიონებში, მათ შორის ქალაქ მოსკოვში, დაიწყო მხოლოდ დეკემბრის მეორე ნახევარში, ისიც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჩარევის შედეგად.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო არსებითად ჩამოშორდა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების ვადების შესახებ საკითხის გადაწყვეტას. ამის შედეგად ქვეყნის ბევრ რეგიონში მათი შემოღება დასახული იყო სხვადასხვა ვადებში, თვის დამლევამდეც კი — ქალაქ მოსკოვში ხელფასის მონაცემება გათვალისწინებული იყო 1986 წლის 20 ნოემბრიდან, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 25, ხოლო ლენინგრადში, ლიტვის სსრ, ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 15 ნოემბრიდან.

ამ საკითხზე ბევრი ლაპარაკობენ, ბევრი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიუხვისათვის ახალი რეზერვებისა და საშუალებათა ასამოქმედებლად, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვად, ჩამორჩენილ მეურნეობათა ასაღორძინებლად. მიღწეულ წარმატებათა პირველწყარო, ანუ საფუძველთა საფუძველი მეცხოველეობაში ახალი, უხვმოსავლიანი და მეცხოველეობაში პირუტყვის პროდუქტიული ჯიშების დანერგვაა, შიგასამეურნეო ანგარიში და ანალიზია, ბრიგადული იჯარაა.

ყოველივე ამან თავისი გამოხატულება პოვა სახელმწიფო დავალებათა შესრულებასა და სოფლის კეთილმოწყობაში.

აი, ზოგიერთი მათგანი:

ფლიური დავალება ვადამდე შესრულდა

მეცხოველეობა პირობა გაანაღდეს — ნაცვლად 4.550 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.900 ტონაზე მეტი ხორცი. შესრულდა აგრეთვე რძის დამზადების დავალება, სახელმწიფოს მიეყიდა 14.500 ტონაზე მეტი რძე.

ეკონომიკურად ძლიერი საზოგადოებრივი მეურნეობაა. სოფელში ცხოვრობენ მარჯვე და გამრჯე ადამიანები. მართან სოინელმა მშრომელებმა საზოგადოებრივი ცხვრის სულადობის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. 18.260-ის ნაცვლად მყავთ 22.804 სული ცხვარი. მნიშვნელოვნად გაზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. გასულ, 1986 წელს 15 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 37,6 ტონა მატყელი. გაზარდა ხორცის წარმოება და დამზადება.

ფიფქიანი ზამთარი

ოსეთ-ინგოეთ ავტონომიურ ოლქში

ბევრ ადგილას ოსეთ-ინგოეთ ავტონომიურ ოლქში ზამთარი ასეთია: ფიფქიანი, ცივი, ბალღებისთვის ულამაზესი. ასეთ ამინდში ბავშვებს ეზოში ეკრძალებიან, ეშინიათ, ცივა, ავადმყოფობენ. ეს ასეა ბევრ ადგილას. ოსეთ-ინგოეთ ავტონომიურ ოლქში

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები

სიძნელეებს მონდომება დავუპირისპირეთ!

(დასასრული)

აქაო და მომწოდებლებს უჭირთო, ავტოტრანსპორტიც გაგზავნეს მოსკოვში დასახმარებლად, პროფესიონალური მუშახელიც, მაგრამ სასურველი ელექტროძრავები მაინც ვერ მიიღეს. ისხდნენ მუშები გულხელდაკრეფილი და ამაოდ ელოდნენ მოსკოველი მეგობრების წყალობას. როცა ყველა წყალი გადაიწურა, და საქმეს საშველი არ დაადგა, შეიკრიბა კოლექტივის რამდენიმე წევრი, მათ შორის კომუნისტები: რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ელექტროშემდუღებელი ნ. ვაკულინი, ზეინკალი ვ. მელაძე, ზეინკალთა ბრიგადირი ს. აივაზოვი, სოციალისტური შრომის გმირი ა. სობოლევი, ხარატები გ. ბაკაევი, გ. სარალიძე, მ. სალიკოვი და გაზეთ „სოციალისტური რუსთაველის“ საშუალებით მოსკოველ მეგობრებს, გაერთიანება „დინამოს“ კომუნისტებს მიმართეს ვრცელი წერილით, რომლის სათაურია „პირობა ფულზე ძვირფასია“. — ჩვენი კოლექტივის გეგმის შესრულების ბედი თქვენს ხელშია, ამ რთულ მომენტში კი თქვენ გვდალატობთო, ეწერა მასში. ამ წერილის დაწერის დღიდან უკვე საკმაო დრო გავიდა. სასურველი ელექტროძრავები კვლავაც არ ჩანს. არა და გეგმები კვლავ იშლება.

ანალოგიური ბედი ერგოთ ამ ძნელ შლის მოწოდების გეგმებს მოსკოვის მეორე საწარმოც „პამიატ რევოლუციი“, რომელიც დროულად არ აწვდის საწარმოს მართვის ფარს. არა და ვერც ამ ნაწილის გარეშე ააწყობ კოშკურა ამწეს. შავ ფიში ადგებენ რუსთაველ ამწემშენებლებს ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებიც. მათ შორის არის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ცხინვალის მექანიკური ქარხანა. ხელშეკრულებით იგი მემანქანის კაბინას აწვდის რუსთაველ ქარხანას.. მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ მოწოდებას. არასპეციალისტიც კი იმთავითვე იგრძნობს უხერხულობას მისი ხილვით. კაბინის ინტერიერი მოპარკეთებული უნდა იყოს პლასტიკატით, მაგრამ ის „წვრილმანი“ მის შემქმნელებს მხედველობიდან „გამორჩენიათ“, „დავიწყნიათ“ იატაკზე ლინოლეუმის დაგებაც. ცალკეულ კაბინებს აკლია სამაგრი დეტალები. შედუღების და შეღებვის ხარისხსაც ნუ იკითხავთ, კორპუსები შეუღებავია, სამაგიეროდ მინები შეუღებავთ და მემანქანე კაბინიდან ადვილად ვერაფერს გაარჩევს. კაბინა ამავე დროს ჰერმეტიზებულიც არ არის, არ მუშაობს მინის საწმენდები, არ იკეტება კარები, და თუ შემთხვევით დაკეტავთ, როგორც არ უნდა ეცადოთ ამაოდ ჩაგიგლეთ შრომა, ვერ გაიღებთ, ელექტრომონტაჟიც არ შეესაბამება სქემას. როგორ გინდა ასეთი მაკომპლექტებელი კვანძებით კარგი ხარისხის პროდუქცია გამოუშვა? ქარხნის ხელმძღვანელებმა რომ ვერაფერი გააწყეს ცხინვალელებთან, ადგილზე ესტუმრნენ, დიდი დაპირებები ქი მიიღეს, მაგრამ ვნახოთ, საქმეს თუ ეშველა.

თუმცა რაღა შორს წავიდეთ, თვით რუსთავშიც ბევრია მოსაგვარებელი. ერთ-ერთი აქაური საწარმო უმზადებს ქარხანას ეგრეთ წოდებულ მართვის კარადებს. მის ხარისხზეც ამაოდ ვილაპარაკებთ. კარადების კარები, თუმცა საკეტები აქვს, არ იკეტება, ზოგიერთს არა აქვს შემამჭიდროებელი რეზინებიც. არადა, წვიმის დროს კაბინაში წყალი შედის და შესაძლოა გამოიწვიოს ელექტროობის ძმიმე დაზიანებაც. დაბალია შედუღებისა და შეღებვის ხარისხიც, ამ შემთხვევაშიც ბრალდა არის დატოვებული შეუღებავი ადგილები. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის მომართაც გამოთქვა ქარხანაში სერიოზული პრეტენზიები. 38-მილიმეტრი დიამეტრის 3,5 მილიმეტრი სისქის მილები, რომელებსაც ისინი ამწემშენებლებს აწვდიან, ხშირად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ბზარიანია და სხვ. სწორედ ყველა ეს მიზეზი განაპირობებს პროდუქციის წარმოების გეგმის შეუსრულებლობასა და დაბალ ხარისხს, რასაც ახლა განსაკუთრებული ძალით უნდა ებრძოდნენ.

მაგრამ მარტო ობიექტური მიზეზები და მიმწოდებლები როდი არიან დამნაშავენი. ჯეროვნად ვერ მუშაობენ ქარხნის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, საკმარისი არ არის პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის მოსამზადებლად მათ მიერ გაწეული მუშაობა. ვერა და ვერ მოგვარდა ამ საწარმოში შეუსაბამად ნაწარმის ზედაპირის ვარგისიანობის ხარისხი. სათანადო მოწყობილობის უქონლობის გამო ამწეებს აქ ყოველგვარი ზედაპირული დამუშავების გარეშე ღებავენ. მართალია გათვალისწინებულია საამისოდ სპეციალური უბნის მშენებლობა, მაგრამ თუ იგი არ დაჩქარდა, ხარისხს კვლავაც ვერ დაიცავენ. მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს აგრეთვე შეღებების ხარისხი, გაუმჯობესდეს შემდუღებელთა კვალიფიკაცია. საქმე ის არის, რომ ამ პრეტენზიების 65 პროცენტი, რომლებსაც ქარხანა იღებს თვის პროდუქციაზე, უხარისხო შედუღების წილად მოდის.

ქარხანაში შარშან დროულად შეუდგენენ სახელმწიფო მიღებისათვის მზადებას, განხორციელდა ეგრეთ წოდებული ფაკულტატური სახმილება, რომლის დროსაც საკმაოდ ნათლად წარმოჩნდა, რომ საწარმოში ჯერ კიდევ ძალზე ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის შეუფერხებელი მსვლელობისათვის. მაგალითად, ამწეთმშენებლებს ნოემბერში სახმილებაზე უნდა წარედგინათ 527 ათასი მანეთის პროდუქცია, ფაქტობრივად კი წარადგინეს მხოლოდ 222 ათასი მანეთისა, რომელიც პირველი წარდგენებით არ იქნება მიღებული. მეორე წარდგენებით კი მიიღეს 36 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო 196 ათასი მანეთისა დაიწუნეს. სამწუხაროა, რომ დეკემბერში კიდევ უარესი მდგომარეობა შეიქმნა. ქარხანაში ეძებენ შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზებს, მაგრამ ჯერჯერობით სასურველი შედეგი არ არის მიღწეული...

რუსთავის ამწემშენებელ ქარხანაში პროდუქციის სახელმწიფო მიღება დაიწყო, მაგრამ, როგორც ვთქვით გასაკეთებელი ძალიან ბევრია. ქარხნის დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა კომიტეტებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა დაძლიონ სიძნელეები და პირნათლად შეასრულონ დასახული ამოცანები. ამაში მათ ქმედითად უნდა დაეხმარონ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

დ. ბიწაძე.

საბჭოები მუშაობენ

სოფელი ხარაჩოებში

აქაც დეპუტატთა კეთილი ხელი იგრძნობა

საღოლაშენი, დირბი, ტახტიძირი... გამოჩნდა სოფელი დვანიც. რაიონული ცენტრიდან ამ სოფლამდე თვრამეტოდე კილომეტრი თუ იქნება. ქარელის რაიონში სხვაც ბევრია უფრო დიდი სოფლებიც და ეკონომიკურად ძლაერი საზოგადოებრივი მეურნეობებიც. ჩვენ კი დვანის სასოფლო საბჭოს და ადგილობრივი კოლმეურნეობა ავარჩიეთ და არცთუ შემთხვევით.

სასოფლო საბჭოს დეპუტატები აქტიურად იღვწიან სოფლის კეთილმოწყობისთვის, მოსახლეობაში წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისთვის. კოლმეურნეობის მხრიდან უდგას სასოფლო საბჭოს, დეპუტატთა ჯგუფს, შეერთებული შრომით კი ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლება.

— საბავშვო ბაღის მშენებლობა რომ წამოვიწყეთ, — ამბობს დვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბეჟან გელუტაშვილი, ერთბაშად რამოდენიმე საშური საქმის მოგვარება გვქონდა ჩაფიქრებული, ჯერ ერთი, საბავშვო ბაღი სოფელში პირველად აშენდებოდა, მეორეც, იგი გარკვეულ შეღავათს მისცემდა ქალებს, რომლებსაც საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობის დიდი სურვილი აქვთ.

მშენებლობა რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს დაეკალეს და მისმა თავმჯდომარემ შოთა გოგიჩაიშვილმაც გულთან მიიტანა ეს საშვილიშვილო საქმე.

90-ადგილიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც თითქმის 307 ათასი მანეთი დაჯდა, სწორედ ამ დღეებში, საახალწლოდ დამთავრდა. სოფლის ცენტრში ალმართულმა ქათქათა შენობამ თითქოს საბიც უცვალა სოფელს, უფრო კოხტა და კოპწია გახადა იგი.

მშენებლობის პერიოდში მრავალი სიძნელე წამოიჭრა და სწორედ აქ იყოჩაღეს დეპუტატებმა.

დეპუტატთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სოფლის ბიბლიოთეკის ხამიერ, ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივანმა მარიამ მედოდიძემ ჯგუფის წევრებს თავისი მოსაზრება გააზიარა, რომელიც მშენებლობაზე დეპუტატთა საგუშაგოს შექმნას გულისხმობდა.

მართლაც რომ, დროული იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება. მშენებლობას უჭირდა — არ ჰყოფნიდა მუშახელი, საშენ მასალებსაც დაგვიანებით იღებდნენ. საგუშაოს წევრებმა თენგიზ კოპაძემ, ლამარა ვანიშვილმა, ივანე ივანაშვილმა და სხვებმა დიდი სააგიტაციო მუშაობა გასწიეს სოფლის მოსახლეობაში, მკაცრი კონტროლი დაუწესეს მშენებლობის მიმდინარეობას. სწორედ იმიხანად შეემატნენ საბავშვო ბაღის მშენებელთა რიგებს გიორგა ქრიტეშვილი, თამაზ ქოქოშვილი, გიორგი ნადირაძე, ვერისო ბერძენიშვილი და სხვანი.

— დვანელებმა კეთილი გულით გააკილეს ძველი წელი, — გვეუბნება დვანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი მინდიაშვილი, — შეერთებული, ხელიხელჩაკიდებული შრომით ბევრ საქმეს წარმატებით დავადგით თავი.

ავიღოთ, თუნდაც, მოსახლეობის მომსახურების ისეთი საჭირო ობიექტი, როგორიც აბანოა. ასეთი აბანო დიდ სოფელსაც არ ექნება, დვანში რომ ააშენეს. წელს დაიწყეს ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, რომელშიც მოთავსდება სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა, დეპუტატის ოთახი და სხვა. ამ ობიექტების მშენებლობის მუშახელით და საშენი მასალებით უზრუნველყოფაში დიდია დეპუტატთა ჯგუფის წვლილი, მათი დაუზარელი შრომის ნაყოფი აქაც კეთილად იჩენს თავს.

სოფლის დეპუტატები არა მარტო სხვების მუშაობას სწავლობენ და აკონტროლებენ, თავად არიან მიბაძვის ღირსნი.

სასოფლო საბჭოს დეპუტატის, კოლმეურნეობის ბრიგადირის გიორგი მამაგულაშვილის ოჯახში რვა შვილი იზრდება! ლენინის ორდენოსანი ახალგაზრდა ბრიგადირი უნარიანად ხელმძღვანელობს ბრიგადას, ზედმეტი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბრიგადირის მეუღლემ, მრავალშვილიანმა დედამ ნუნუ მამაგულაშვილმა შარშან კოლმეურნეობაში 268 კაცდღე გამომუშავა, წელს უფრო მეტს აპირებს.

სასოფლო საბჭოს დეპუტატმა, ჩვილი ბავშვების დედამ მზია კოპაძემ შარშან 195 კაცდღე გამომუშავა, მარინე მამაგულაშვილმა, რაიონული საბჭოს დეპუტატმა — 184 კაცდღე. წლიულს მარინემ გაპიროვნებულ ნაკვეთზე ჰექტარზე გადაანგარიშებით 400 ცენტნერი ბოსტნეული, 900 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და სხვა პროდუქტები მოიწია.

დიახ, სოფლის დეპუტატები, დეპუტატთა ჯგუფის წევრები მეწინავეობენ შრომაში, ბევრ რამეს აკეთებენ მშობლიური კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

აღმფენლობით მიდის დვანის კოლმეურნეობის საქმეები. წლეულს დვანელებმა მარცვლეულის და ბოსტნეულის სარეკორდო მოსავალი მიიღეს, გადაჭარბებით შესრულდა ხილისა და შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმები, სასიკეთო ძვრებია მიღწეული მეცხოველეობაშიც.

რესპუბლიკის საბჭოები, ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში, რომელშიც განხილა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის საკითხი, ახორციელებენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდების სრულყოფის, საჯაროობის გაფართოების ღონისძიებებს.

დვანის სასოფლო საბჭოს, მისი დეპუტატთა ჯგუფის საქმიანობა, უეჭველია, ბევრ საინტერესო სიახლეს შეიცავს. უშრომელი შემოსავლის, ლოთობისა და ხულიგნობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტიან ღონისძიებებთან ერთად კვლავაც მთავარ ამოცანად რჩება სოფლის კეთილმოწყობისათვის, საკოლმეურნეო ეკონომიკის განმტკიცებისათვის ზრუნვა, იმ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრა, რომლებიც ჯერ კიდევ ბლომად აქვთ მუშაობაში.

რას მოუტანს 1987 წელი დვანის სასოფლო საბჭოს სოფლებს, დვანის კოლმეურნეობას? დეპუტატთა ჯგუფის აზრით, კვლავაც განმტკიცდება სოფლად წესრიგი და დისციპლინა, აშენდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საავაჭრო ობიექტები, მთლიანად შეუცვლის სოფელს სახეს მოასფალტებული საავტომობილო გზა, დამთავრდება სოფლის რადიოფიცირება და ტელეფონიზაცია...

დეპუტატთა ჯგუფი კვლავაც დიდი საქმეების სამზადისშია.

გ. ვაშაკიძე.

ლატალელი დამკვრელი

ზამთარია. თოვლმა ჩამოათოთრა სვანეთის მთები, სოფლები და სახნავ-სათეს-სათიბები. ღამღამობით მოწმენდილზე ყინავს, სიცივე მწარედ იკბინება.

სოფლის ბოლოში, მდინარე მესტიაჭალის მარჯვენა ნაპირზე, ქარხნაგარის ველობზე დაუდგია ბინა მესტიის რაიონის ლატალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას. შუადღეა. ფერმის ბოლოს საქონლის ბოლოქი მოჩანს.

ფურებს შორის ახალგაზრდა მწველავი ქალი საქმიანად ტრიალებს. ხელზე ზოკრიფის ხელთათმანივით წამოუცვამს ხმარებისაგან კბილებმოცვეთილი სამუარველი და მიჩენილ ფურებს რიგ-რიგობით წმენდს — აცლის ტკიპებს, შეიმხარ ტალახს, ბუჩოს. მოვლა-ალერსს მიჩვეული საქონელიც არა ხამუშობს — გატვრენილები დგანან, სიამოვნებისაგან ყურებს წარამარა აპარტყუნებენ და მადლიერი ზმუილით უხრიან ქედს თავიანთ კეთილისმყოფელს, რომელიც მზრუნველობით ეხება მათ კისერს, ღაბაბს, რქებს...

ფერმის თავში, საცხოვრებელი ბინის საჩეხთან მწველავებითა და მწყემსებით გარშემორტყმული მეურნეობის დირექტორი ვლადიმერ კვანტიანი მოჩანს. იგი ხან ფურების დასუფთავებით გართულ მწველავს გახედავს ხოლმე, ხან რაღაც დარიგებას აძლევს დანარჩენებს: ეტყობა, ქებით იხსენიებს საქონლის მოსაყვარულე ახალგაზრდა მწველავ ქალს და მის მაგალითს სხვებსაც წასაბაძად უსახავს.

ტანწერწეტა მწველავი ქალი კი აინუნშიაც არ აგდებდა, რომ დირექტორი ბრიგადის წევრებს მის კაჟაღლობაზე ელაპარაკებოდა და ბეჯითად განაგრძობდა ფურების დასუფთავებას, რომლებისთვისაც საალერსოდ მეტსახელები შეურქმევია — ყარჩალი, გაბუ, შავტუხა, ლომა, კეკლუცა, თეთნულდა, ქირქითა, ბარდიხუ, უშბა...

ეს ახალგაზრდა მწველავი ლამარა ფირცხელანია. მესტიის რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა წინა ხუთწლედში გეგმის გადაჭარბებით 310 ტონა რძე რომ აწარმოეს, ამ წარმატებაში ლამარასაც უდევს წილი. მან სოფელ ლატალის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მიაშურა ფერმას და ისე მუყაითად დაიწყო მუშაობა, რომ მალე რაიონის ყველაზე მოწინავე მწველავებს ამოუდგა გვერდში. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სვანეთში ჯერჯერობით ხელით უხდებათ წველა და ახალგაზდას დიდი მოთმინება, ამტანობა და ნებისყოფა მართებს, რათა რამდენიმე წელიწადში დამკვრელის სახელი მოიპოვოს. ლამარამ ეს სამეიოდე წელიწადში შეძლო, ხოლო 1986 წლის პირადი წლიური გეგმა — 19.000 კილოგრამი რძე — 7 ნოემბრისათვის შეასრულა და იქიდან მოყოლებული ნეკორომეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს.

სამაგალითო შრომას დაფასებაც მოჰყვა — ლამარა რაისაბჭოს აღმასკომის დეპუტატია, ხოლო ამას წინათ სკკპ წევრად მიიღეს.

დღეს დღე მისდევს, თვე-თვეს, დრო გადის, პატარა, მაგრამ მოუსვენარი ჭდინარე მესტიაჭალის პირას მდებარე ფერმაში კი მუდამდღე დაუღალავად ტრიალებს უპირეტენზიო, თავის საქმეზე შეყვარებული ერთი მუყაითი სვანი ქალი.

ჯ. მეხრიშვილი.

კაცობრიობის სასიკეთოდ

მხარს უჭერენ საბჭოთა სამშვიდობო კოლიტიკას

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

სოფია. საბჭოთა კავშირის მიერ ყველა ბირთვული აფეთქების მორატორიუმის არაერთგზისმა გახანგრძლივებამ მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკური ავანტიურიზმის ფონზე სსრ კავშირი უცვლელად იჩენს დიდ სიდინჯეს, ნათქვამია გაზეთ „ნაროდნა მლადეჟნოს“ კომენტარში.

ომის მიუხედავად, რომ დედამიწას კვლავ აზანზარებდა ამერიკის ბირთვული მოწყობილობის აფეთქება, საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თავისი ცალმხრივი მორატორიუმი გააგრძელოს 1987 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პირველ ბირთვულ აფეთქებამდე. ამ კეთილი ნების ჟესტს გულისხმიერად მოეკიდა და მხარი დაუჭირა პროგრესულმა საერთაშორისო საზოგადოებრიობამ. სამწუხაროდ, მას დღემდე არ მოჰკიდებია გულისხმიერად ამერიკის ადმინისტრაცია.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ღონისძიებებს ფართოდ დაუჭირეს მხარი მსოფლიოში, მათ მძლავრი იმპულსი მისცეს ომისაწინააღმდეგო მოძრაობას. ისინი მთლიანად შეესაბამება თანამედროვე რაკეტულ-ბირთვული საუკუნის რეალობებს, რომელშიც შიშის წონასწორობა უნდა შეცვალოს ნდობისა და საერთო ინტერესების წონასწორობამ, წერს გაზეთი.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

ვენა. ავსტრიელი კომუნისტები მხარს უჭერენ სტრატეგიული და ჩვეულებრივი შეიარაღების დარგში განიარაღების, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის დაუშვებლობის წინადადებებს, რომლებიც რეიკიავიკის შეხვედრაზე წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, განაცხადა ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ოტო პოდოლსკიმ.

ავსტრიის დედაქალაქის მუშათა რაიონში — ფავორიტენში გამოსვლისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის შესახებ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს პირველი დეკრეტი დაწყებული დღემდე საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად ებრძვის ხალხების მშვიდობიანი მომავლისათვის. ისტორიაში პირველად მან წამოაყენა წინადადება თანასწორობისა და კოლექტიური უშიშროების საფუძველზე საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. სსრ კავშირის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ ბოლო ოთხი ათწლეულის მანძილზე მოხერხდა ბირთვული ომის თავიდან აცილება.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

რომი. ცნობილმა იტალიელმა კინორეჟისორმა კარლო ლიძანიმ მხარი დაუჭირა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის გამიზნულ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს. ჩემი აზრით, თქვა მან საკუთარს კორესპონდენტთან საუბრისას, რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა ვიღვაწოთ ორ დიდ სახელმწიფოს შორის შეიარაღების შემცირების შესახებ ყოველისმომცველი შეთანხმების მისაღწევად. ომი დამდუბველი იქნება კაცობრიობისათვის, ვინაიდან მასში ვერავინ ვერ გაიმარჯვებს. ყველაზე დიდ ყურადღებას იმსახურებს ამასთან დაკავშირებით საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲤᲠᲘᲜᲢᲘᲡ

ᲡᲐᲠᲘᲡᲞᲘᲠᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ

თვალსაჩინო ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე მორატორიუმის შესახებ

ვაშინგტონი. შარშან, ისევე როგორც წინა იქვს წელიწადში, შეერთებული შტატები უარს ამბობდა რაიმე ეღონა შეიარაღების შეზღუდვის დარგში. პირიქით, ვაშინგტონი სრულიად საპირისპირო მიმართულებას დაადგა, როცა დაიწყო შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში არსებული სახელშეკრულებო სისტემის მოშლა. ეს განაცხადა ერთ-ერთმა თვალსაჩინო ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ უილიამ ფულბრაიტმა.

საკადესის კორესპონდენტის იგორ იგნატიევისათვის მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ თეთრმა სახლმა ხაზი გადაუსვა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის პირველ შეთანხმებას და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას, ახლა კი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულებას მისდგა.

1986 წელს, თქვა შემდეგ უ. ფულბრაიტმა, გამალებული შეიარაღების ალაგვის გზაზე პროგრესის მიღწევის კარგი შესაძლებლობანი იყო რეიკიავიკში. ზოგიერთი წინადადება, რომელებსაც

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲛᲘᲥᲢᲘ

უზომოდ ზრდიან პენტაგონის ბიუჯეტს

ნიუ-იორკი. „ქვემეხები კარაქის ნაცვლად“. — ეს გამოთქმა, ალბათ ზუსტად შეიფერება ამერიკის შეერთებული შტატების 1988 საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტის პროექტს, რომლის წარდგენასაც კონგრესის განსახილველად მომავალი კვირის დამდეგს აპირებს პრეზიდენტი რეიგანი.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმისისათვის“ ცნობილი გახდა, პრეზიდენტის პროექტი ითვალისწინებს „მომდევნო ხუთ წელიწადში სამხედრო ხარჯებისათვის 1,8 ტრილიონნი დოლარის გამოყოფას“. ადმინისტრაციის გეგმების თანახმად, პენტაგონის ბიუჯეტი ამ პერიოდში ყოველწლიურად დაახლოებით 20 მილიარდი დოლარით გაიზრდება. თუ 1988 საფინანსო წელს თვითი სახლი ითვალისწინებს სამხედრო ხარჯებს 312 მილიარდი დოლარის ოდენობით, 1989 წელს ისინი მიაღწევენ 332,4 მილიარდ დოლარს, ხოლო 1992 წელს — 396,9 მილიარდ დოლარს. ისევე როგორც წინათ გამალებული შეიარაღების დაფინანსებას თეთრი სახლი აპირებს მრავალი სამეიუჯეტო პროგრამის მკვეთრი შემცირების ან საერთოდ მოსპობის ხარჯზე, რომლებზეც დამოკიდებულია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ათ მილიონობით ამერიკელის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. მაგალითად, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, მომავალ ხუთ წელიწადში სახვევაზე მეტად შეუმცირდებათ დახმარება ფერმერთა მეურნეობებს, რომლებიც მწვავე ეკონომიკურ კრიზისს განიცდიან. ნავარაუდევია აგრეთვე 58 მილიარდი დოლარი „დაზოგონ“ მოხუცებისა და ღარიბების სამედიცინო დახმარების პროგრამებისათვის ასიგნებათა მკვეთრი შემცირების გზით. ადმინისტრაცია მრავალ სხვა სოციალური პროგრამის არსებით შეკვეცასაც გეგმავს.

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

ლისაბონი. გასული წლის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენა გახდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა რეიკიავიკში — ასეთი აზრისაა პორტუგალიის პროგრესული გაზეთი „დღიარიუ“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მოლაპარაკების შემდეგ, აღნიშნავს იგი, პლანეტის ყველა მცხოვრებისათვის ძალზე ბევრი რამ გახდა ნათელი. ახლა აშკარაა, რომ სულ რაღაც 15 წლის მანძილზე შეიძლება ბირთვული არსენალებისაგან დედამიწის განთავისუფლება. მეორე მხრივ, მსოფლიოს ხალხები დარწმუნდნენ, რომ ამ გზაზე მთავარი დაბრკოლება ვაშინგტონის უარი, ხელი აიღოს „ვარსკვლავეთის ომებისათვის“ მზადების გეგმებზე.

● ᲜᲘᲙᲐᲠᲐ�გᲣᲐ

ᲒᲔᲠᲐᲒᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲬᲛᲔᲑᲘ

კონტრრევოლუციონერები სულ უფრო მეტ დანაშაულს სჩადიან

მანაგუა. ვაშინგტონის ბრძანებისამებრ სომოსელთა შეიარაღებული ბანდები აძლიერებენ ტერორისტულ საქმიანობას ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ. გასული წლის ბოლო სამ თვეში მათს დანაშაულებრივ ›ქციებს რესპუბლიკის ასამდე მოქალაქე შეეწირა.

კონტრრევოლუციონერები, რომლებმაც დიდი დამარცხებები იწვნიეს სანდინისტური სახალხო არმიისაგან, ჯავრს იყრიან ნიკარაგუის მშვიდობიან მოსახლეობაზე, განაცხადა სანდინისტური სახალხო არმიის დაზვერვის უფროსმა რიკარდო უილოკმა. ბანდიტები უსაფრდებიან მგზავრებს შარაგზებზე და თავს ესხმიან გლეხთა კოოპერატივებს, ხოცავენ უმწეო მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. ასე „მუშაობენ“ კონტრრევოლუციონერები, რათა აუნაზღაურონ ვაშინგტონს მათთვის გამოყოფილი 100 მილიონი დოლარი სანდინისტური რევოლუციის დესტაბილიზაციისათვის, თქვა რ. უილოკმა. ექვსი კაცი, მათ შორის ორი ბავშვი დაიღუპა ბოაკოს დეპარტამენტში „ისიდრო სოტელოს“ გლეხთა კოოპერატივზე ერთ-ერთი ბანდის ვერაგული თავდასხმის შედეგად. სომოსელები საათ-ნახევრის განმავლობაში უშენდნენ ნაღმსატყორცნების ცეცხლს კოოპერატივის ნაგებობებს. მათ ცეცხლი გაუჩინეს სურსათის საწყობებს, ცეცხლმა შთანთქა სასურსათო პროდუქტები, რომლებიც განკუთვნილი იყო ამ ზონაში მდებარე 15 სოფლისათვის. სახალხო მილიციის მცირერიცხოვანი რაზმი ვაჟკაცურად აუდგა წინ სომოსელთა შეტევებს და არ დაანება მათ დაბის ხელში ჩაგდება.

ბანდიტებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ თავდასხმის მერე ჩვენი კოლექტიური მეურნეობა მოიშლებოდა, განაცხადა კოოპერატივის თავმჯდომარემ ლასარო ამადორმა. მაგრამ რევოლუციის მტრებს კოვზი ნაკაროში ჩაუვარდათ. დანაშაულებრივი თავდასხმის შემდეგ გასულ სულ რაღაც რამდენიმე საათში გავდნენ მინდვრად გლეხები. ისინი თვითონ აღადგენენ თანდათან ყველაფერს, რაც რიგგანის ადმინისტრაციის დაჭირავებულმა გაანადგურეს, თქვა მან.

ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲕᲘᲪᲘᲚᲝᲗ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის მოლაპარაკების შესახებ

ფხენიანი. კორეის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მაღალი დონის სამხედრო-პოლიტიკურმა მოლაპარაკებამ, რომლის გამართვის შესახებ წინადადება წამოაყენა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა კიმ ირ სენმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში, უნდა შეახუსტოს მწვავე პოლიტიკური კონფრონტაცია და სამხედრო დაძაბულობა, შექმნას ნდობის ატმოსფერო მხარეთა შორის. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, კორეის სახალხო არმიის გენერალური შტაბის უფროსის, არმიის გენერლის ო. გი, ჩელის გაცსახდებაში.

თუ სასწრაფოდ არ გადაიჭრება ეს აქტუალური პრობლემები, აღნიშნულია განცხადებაში, ვერ გაუმჯობესდება ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთობა, შეუძლებელია, მშვიდობის უზრუნველყოფა და ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანება. კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ნარკვა გასული წლის განმავლობაში წამოაყენა კორეის ნახევარკუნძულზე მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის განზიზნული მთელი რიგი ინიციატივები. მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სამხრეთ კორეამ უარყვეს ეს საშვიდობო წინადადებები და განაგრძეს შეიარაღება. გადაჭაქცია რა კორეის სამხრეთი შორეულ

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲑᲔᲚᲣᲯᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ

ქაბული. ირანის ქალაქ ზაჰედანში კვლავ გაჩაღდა შეიარაღებული შეტაკებები „ისლამის რევოლუციის გუშაგებსა“ და ბელუჯელების რაზმებს შორის, რომლებიც თეირანის დისკრიმინაციული პოლიტიკის წინააღმდეგ იალაშქრებენ.

როგორც ბახთარის საგაზეთო იტყობინება, ქუჩებში გამართული ბრძოლების დროს მოკლეს ც

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲛᲔᲑᲗᲐᲜ

ᲐᲗᲝᲜᲘᲡ ᲘᲕᲔᲠᲗᲐ ᲚᲐᲕᲠᲘᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲗᲐ ᲒᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲬᲘᲒᲜᲘ, რომელსაც ეძღვნება ჩვენი წერილი, ეწოდება „ივირონის აქტები“ (დასაბამიდან XI საუკუნის შუა წლებამდე). იგი მოამზადეს ქაკ ლეფორმა, ნიკოლოზ იკონომიდისმა, დენიზ პაპახრიზანთუმ და ელენე მეტრეველმა. შედგება ორი ნაკვეთისაგან, რომელთაგან პირველი წარმოადგენს ტექსტების პუბლიკაციას კომენტარით, ქაკ ლეფორის ვრცელი ისტორიული ნარკვევით და პავლე ილორნასის წერილით ივერთა ლავრის ხუროთმოძღვრების შესახებ, ხოლო მეორე — დოკუმენტთა ფოტოპირების ალბომს. წიგნი გამოცემულია პარიზში საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრისა და ათენის აკადემიის ხელშეწყობით, 1985 წელს.

ივირონის, X საუკუნის დამლეველ იოანე და თორნიკე ათონელების მიერ დაარსებული ივერთა ლავრის აქტების კრებული არის ორგან XIV ტომი მნიშვნელოვანი ბიზანტინოლოგიური სერიისა, რომელსაც ეწოდება „ათონის არქივი“. სერია დააარსა ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა გაბრიელ მიიემ 1937 წელს ბიზანტიის და, საზოგადოდ, შუა საუკუნეების ისტორიისათვის ათონის დოკუმენტთა უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით. 1964 წლიდან სერიას სათავეში ჩაუდგა ჩვენი დროის თვალსაჩინო ფრანგი ბიზანტინოლოგი პოლ ლემერლი. ათონის აქტების კითხვისა და ინტერპრეტაციის პროცესმა მიიღო საშეცნიერო სემინარის ფორმა, რომელმაც პოლ ლემერლის გარშემო მოუყარა თავი ცნობილ და ახალგაზრდა ბიზანტინოლოგებს — ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს, რომელთა გულმოდგინე და მთავარნებული შრომით მომზადდა ათონის მთის სხვადასხვა სავანეში დაცული უნიკალური ისტორიული დოკუმენტაციის შემცველი რამდენიმე ტომი.

ივერთა ლავრის დოკუმენტაციაც, რომელსაც ეძღვნებოდა სერიის XIV ტომი, ისევე როგორც სხვა ათონური სავანეებისა, ბერძნულენოვანია. მაგრამ ამ დოკუმენტებზე ქართულ მინაწერთა სიმრავლემ, საზოგადოდ ქართული ისტორიულ-კულტურული კონტექსტის ღრმად გათვალისწინების აუცილებლობამ, მოითხოვა ქართულ მეცნიერებასთან აქტიური თანამშრომლობა, მის მომზადებაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის და უშუალოდ მისი დირექტორის აკადემიკოს ელენე მეტრეველის მონაწილეობა. თანამშრომლობა ხორციელდებოდა როგორც ქართველ და ფრანგ მეცნიერთა პარალელური მუშაობით, ასევე ელენე მეტრეველისა და ქაკ ლეფორის პერიოდული მივლინებით პარიზსა და თბილისში.

ათონის აქტების მნიშვნელობა განისაზღვრება ათონის, როგორც ისტორიული და კულტურული მოვლენის მნიშვნელობით ბიზანტიისა და მასთან დაკავშირებული ქვეყნების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ათონი — კონცხი ეგეოსის ზღვაში მის სამხედრო ნაწილში აზიდული მაღალი მთით — X-XI საუკუნეებში, როგორც ცნობილია, ყალიბდება ბიზანტიის უდიდეს სამონასტრო კომპლექსად. ცხოვრებიდან გამდგარი ათონი სინამდვილეში არასდროს არ ყოფილა ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული ცხოვრებისაგან გამიჯნული. პოლიტიკური ცხოვრების ქარტეხილები აღწევდა ბერთა სენაკებამდე და ათონიც, მართლმადიდებლური ფეოდალური სამყაროს ერთი უდიდესი მემამულე, მიწათა და ყმათა მფლობელი არა მარტო ბიზანტიაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, არ რჩებოდა გულგრილი პოლიტიკური და სოციალური პერიპეტიების მიმართ, ცდილობდა პოლიტიკაზე ზემოქმედებას, თავისი ორიენტაციის მტკიცედ გატარებას. ფართო პოლიტიკური და კულტურული კავშირების შედეგად ათონის ბიბლიოთეკებსა და საცავებში საუკუნეთა მანძილზე თავს იყრიდა ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები, ათასობით ხელნაწერი და დოკუმენტი, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიზანტიის და მასთან დაკავშირებული ქვეყნების ისტორიის და კულტურის შესწავლისათვის. ათონის კონსერვატიზმმა, აქ არსებულმა საგანგებო პირობებმა აქცია იგი ბიზანტიის მუზეუმად, რომლის კოლექციები ღრმა კვლევის საგანია მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში.

ფასდაუდებელია ათონის მნიშვნელობა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის, რადგან X საუკუნის დამლევიდან ათონზე ჩამოყალიბებული ქართული სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერა იქცა ქართულ-ბერძნული ურთიერთობის იმ უმნიშვნელოვანეს ცენტრად, რომელმაც, ერთი მხრივ, აზიარა ქართული მწერლობა ბიზანტიური კულტურის მიღწევებს, ხოლო მეორე მხრივ, ფართოდ წარმოაჩინა ქართული კულტურის სიმდიდრე, თავისთავადობა და პატენცია. ათონი იქცა საქართველოს გონებრივი და სულიერი განვითარების იმგვარ ეტაპად, უორმლისოდაც, კ. კეკელიძის სიტყვით, „ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“.

ათონის აქტები არ წარმოადგენენ ათონელთა სულიერი, ინტელექტუალური მოღვაწეობის საბუთებს, აქტები, არსებითად, იურიდიული დოკუმენტებია, რომლებშიც ასახულია მთი მრავალფეროვანი პრაქტიკული და ორგანიზატორული მოღვაწეობა, ურთიერთობა მთის სხვა სავანეებთან, სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ბიზანტიის საიმპერატორო კართან. მაგრამ ქართველ ათონელთა საქმიანობის ეს მხარე, დოკუმენტური მასალით რეალურად და ცოცხლად წარმოდგენილი, საშუალებას გვაძლევს მეტი სისრულით გავითვალისწინოთ მათი მოღვაწეობის მთელი მასშტაბი, უკეთ შევაფასოთ მათი ეროვნული და საზოგადოებრივი ღვაწლის მნიშვნელობა.

აქტების ნაწილი პირველად ქვეყნდება, ხოლო ზოგიერთი, ადრე გამოქვეყნებული, ახალ ედერადობას იძენს ტექსტის სრულფასოვანი წაკითხვის წყალობით და იმის გამოც, რომ დოკუმენტთა ქრონოლოგიურ წყებაში წარმოდგენილი, იქცევა ისტორიული პროცესის რგოლად, ივირონის ზრდისა და განვითარების გარკვეულ ეტაპად.

982 წლის დოკუმენტი. ქართული სავანის არსებობის მეორე წელი. შესაფდვის აქტი, რომელიც ადასტურებს იოანესა და თორნიკეს მიერ მარტომყოფი ბერძენი ბერისაგან, ვინმე გრიგოლ ხილანდარისაგან ქართული სავანის მეზობლად მდებარე მიწის მცირე ნაკვეთის შეძენას. საბუთში აღნიშნულია, რომ გრიგოლს უსურვებია დასახლება ზღვის ნაპირას, სადაც იგი „უკეთესად მოისვენებდა“. მაგრამ მთავარი, როგორც ირკვევა, არის არა ბერძენი განდეგილის ზღვისაკენ ლტოლვა, არამედ 100 ოქრო, რომელსაც უხდიან მის მცირე მამულში ივერთა ლავრის მესვეურები, რადგან მათ (ეს მოტივიც ჩაწერილია დოკუმენტში) არ სურთ, მათთან ეგზომ ახლოს სახლობდეს უცხოელი.

დოკუმენტი ნათელყოფს ივირონის დამაარსებელთა მიერ იმთავითვე დასახულ გეზს ლავრის ეროვნული პრინციპით დაკომპლექტებისა და იმას, რომ მისი ტერიტორიის გაფართოება ხდებოდა ახლომდებარე მიწების შესყიდვისა და გაცვლა-გამოცვლის გზით, მიწის შესყიდვის ოპერაციას მონასტრის სახელით აწარმოებენ თორნიკე, როგორც ლავრის მთავარი ორგანიზატორი და, არსებითად, მისი მფლობელი და ოიანე, ლავრის წინამძღვარი. მოწმეთა ხელმოწერებიდან ერთ-ერთი ეკუთვნის ათანასეს, ათონის უდიდეს მოღვაწეს, რომელმაც, დედით ლაზმა, შეიფარა თავის „დიდ ლავრაში“ პირველი ქართველი ათონელები, ხოლო შემდგომ დიდად დაეხმარა მათ დამოუკიდებელი სავანის დაფუძნებაში. თორნიკე აქაც და სხვა დოკუმენტებში იხსენიება მაღალი საეკლესიო ტიტულით „სინგელლოზი“, რომელიც მას მიეკუთვნა იმპერიისათვის გაწეული უდიდესი სამსახურის ვარდა სკლეროსის (ბარდა სკლიაროსის) ამბოხების ჩაქრობის გამო.

იმავე წლით არის დათარიღებული ორი სხვა დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ბევრად უფრო ფართო მასშტაბის ოპერაციასთან. საქმე ეხება ივირონის მესვეურთა მნიშვნელოვან მონაგარს, ლეონტიის მონასტერს თესალონიკში და კოლოვუს მონასტერს ქალაქ იერისოში (ეს ქალაქი დღესაც არსებობს როგორც საბერძნეთის თავისებური სასაზღვრო პუნქტი ათონის სამონასტრო რესპუბლიკასთან). კოლოვუ, რომლის ხელში ჩაგდება წლების მანძილზე რჩებოდა ბეროტ გმირობად იქცევა ეროვნული ისტორიის გადამწყვეტ ეტაპზე შორს გამიზნული საქმის უდიდესი ტაქტით, სიფხიზლითა და გულმოდგინებით წარმართვა (მინდა შევნიშნო, რომ ათონზე ასვლისას იოანე დახლოებით 35 წლისაა, თორნიკეკ — მასზე ათიოდე წლით უფროსია).

ე. ლეფორი ყურადღებას აქცევს სავანის ფუძემდებელთა შორის ფუნქციების მკაფიო განაწილებს: იოანე — სულიერი მეთაურობა, ექვთიმე — ფილოლოგიური კომპეტენტენცია, თორნიკე — ორგანიზატორის მიზანდასახულება. იგი მართებულად შენიშნავს საბერძნეთში ქართული სავანის დაარსების კულტურულ მნიშვნელობასთან ერთად აქციის პოლიტიკურ ასპექტს, რასაც უნდა გაეპირობებინა, სწორედ, დავით კუროპალატის აქტიური მხარდაჭერა. მართლაც, ახალგაზრდა ფეოდალური სახელმწიფოსათვის ფიზიკურ და სულიერ ძალთა მოკრების ეამს, ფართო საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლის კიბრაძალს ეს სავანეები ასრულებდნენ თავისებური კულტურულ-პოლიტიკური ფორპოსტების დანიშნულებას.

ქაკ ლეფორის ვრცელ შესავალ ნარკვევში ბევრი საგულისხმო სამყაროსადმი. მახსენდება ქაკ ლეფორის მღელვარე რეაქცია, როდესაც რამდენიმე წლის წინ ჩვენს საუბარში შეეხნიშნე, რომ იოანეს და თორნიკეს ამბავს, მოთხრობილს, ჩვენი დიდი პოეტის ჰეროიკულ-რომანტიკ ულ პოემაში, იცნობს სკოლის მერხიდან ყოველი ქართველი.

ივირონის აქტების ინტერპრეტატორთა და გამომცემელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბიზანტიური იურიდიულ-ადმინისტრაციული ლექსიკით დატვირთული, ხშირ შემთხვევაში ცუდად შენახული, ეამთა სიავის კვალით აღბეჭდილი დოკუმენტები მათ მიერ წაკითხულია მაქსიმალური სიზუსტითა და სისრულით. ელენე მეტრეველს ზედმიწევნით აღუდგენია ქართულ მინაწერთა შინაარსი. მისი დიდი დამსახურებაა პუბლიკაციაში ივირონთან დაკავშირებული ქართული ისტორიულ-კულტურული ფონის, ჩვენი ისტორიოგრაფიისა და ფილოლოგიის დღეევანდელი დონის კონტეპტუალურად და ფაქტობრივად ღრმად გათვალისწინება და ასახვა. წიგნის წინასიტყვაობაში მადლიერებით არის აღნიშნული აგრეთვე მისი ხელმძღვანელობით მომუშავე სამეცნიერო კოლექტივის წევრთაგან მიღებული დახმარება და კონსულტაცია (ც. ბიბილეიშვილი, ე. გაბიძაშვილი).

ათონოლოგიური კვლევის უდიდესი პრობლემაა თვით ტექსტთა მოპოვების, მთის არქივებსა და წიგნთსაცავებში მათი გადაღების სიძნელე. მიზეზი აქაც ბერთა დიდი ნაწილის სიბნელე და ფანატიზმია, ათონზე ისტორიული დროის უძრაობა, აზროვნება შორეულ საუკუნეთა კატეგორიებით, როდესაც რომელიმე ფრანგი მეცნიერი შეიძლება აღიქვან ევროპელ ჯვაროსანთა, საძულველ ლათინთა შთამომავლად, ხოლო ქართველი მეცნიერი — ქართულ-ბერძნული სამონასტრო დავის მონაწილედ. 60-70-იანი წლების მიჯნაზე პოლ ლემერლის ათონოლოგიურ სამეცნიერო სემინარში მონაწილეობისას არაერთხელ მანახავს ათონური ექსპედიციიდან დაბრუნებული ფრანგი კოლეგები გაწბილებულნი, ხელცარიელნი ათონის სავანეებში არასტუმართმოყვარე, პირქუში მიღების გამო. შემდგომ თვითონაც გამიცდია ივირონის წიგნსაცავის ჩარაზულ კართან დგომის უსიამოვნო გრძნობა ვიდრე სავანის მესვეურთა ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ მომეცემოდა ქართულ ხელნაწერთა ხილვისა და მათი დღევანდელი ვითარების შეფასების საშუალება.

„ივირონის აქტებში“ შესულ დოკუმენტთა უმეტესი ნაწილი მოპოვებული და გადაღებულია თვით ქაკ ლეფორის მიერ, რაც, თავისთავად, დიდი დამსახურებაა. უკანასკნელ წლებში ათონის მთა — შორეული, მიუწვდომელი, იდუმალებით მოცული, თანდათან გვაზიარებს თავის საიდუმლოებს. მთისკენ მიმავალი გზებიდან, როგორც ცნობილია, შედეგიანი აღმოჩნდა მეცნიერთა და კინემატოგრაფისტთა თანამშრომლობის გზა, სახელდობრ ე. პატარაიას და ი. ონოფრიშვილის მუშაობა ჩვენი მონაწილეობით ფილმზე „ათონის მატიანე“, განსაკუთრებით კი 1981 წელს გ. პატარაიას და ა. მიქაბერიძის მიერ ივირონის ყველა ქართული ხელნაწერის მიკროფილმირება. ათონის საფუძვლიანი, მრავალმხრივი შესწავლის გზად იქცევა უცხოელ კოლეგებთან ქართველ მეცნიერთა თანამშრომლობა.

...უკანასკნელად ქაკ ლეფორს შევხვდი რამდენიმე თვის წინ ვაშინგტონში, ბიზანტინოლოგთა XVII საერთაშორისო კონგრესზე, რომელსაც იგი მოახსენებდა ათონის აქტებზე მუშაობის შედეგებს. როდესაც მივულოცე ივირონის დოკუმენტთა შესანიშნავი პუბლიკაცია, მიპასუხა: „იცი, ყოველთვის, როდესაც ვფიქრობ საქართველოსთვის ამ მუშაობის მნიშვნელობაზე, მახსენდება, რომ თქვენი ბავშვები სკოლაში სწავლობენ იოანეს და თორნიკეს ისტორიას“.

ამჟამად მზადდება ივირონის აქტების მეორე, გიორგი მთაწმინდელის ეპოქის დოკუმენტთა შემცველი ტომი ელენე მეტრეველის ვრცელი ნარკვევით ივერთა სავანის საქართველოსთან კავშირურთიერთობის შესახებ. ფრანგ, ბერძენ და ქართველ მეცნიერთა თანამშრომლობა გრძელდება.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რესპუბლიკურ გამოთვლითს ცენტრში შეჯამდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის შედეგები. დაიწყო მეორე წელი... ჩინებულად მუშაობს ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების ჯგუფის ოპერატორად თამარ კობალაძე. დიდი პროფესიული ოსტატობა მას საშუალებას აძლევს საუცხოო შედეგებს მიაღწიოს მუშაობაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: თამარ კობალაძე.

Ა. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲐ, ᲤᲐᲥᲢᲘ

ᲙᲘᲒᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲗᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲐ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ონკოლოგიური სკოლის სპეციალისტებმა შეიმუშავეს კიბოს პროფილაქტიკის რეკომენდაციები, რომელებიც დაამტკიცა ექსპერტთა კომიტეტმა.

1. ნუ მოსწევთ. იმთა, ვინც მაინც ეწევა, უნდა იხმარონ ფილტრიანი სიგარეტი, რომელიც შეიცავს არაუმეტეს 5 მგ ფისს.

2. რაც შეიძლება ნაკლებად მიიღეთ ცხოველური წარმოშობის ცხიმები, ხორცი, მეტი — ბოსტნეული, ხილი და ვიტამინები. ბოროტად ნუ გამოიყენებთ სპირტიან სასმელებსა და ყავას.

3. სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში, სადაც ჭუჭებში ინტენსიური მოძრაობაა (განსაკუთრებით ბურუსიან დღეებში) არ დაუშვთ, რომ ბავშვები დიდხანს იყვნენ გარეთ. საგულდაგულოდ გარეცხეთ ხილი და ბოსტნეული. ცალებმა ფეხმძიმობის დროს ძალიან შეზღუდონ მედიკამენტების მიღება.

4. 25 წლის ასაკს გადაცილებულმა ქალებმა სამ წელიწადში ერთხელ უნდა გაიარონ გინეკოლოგიური გამოკვლევა. უნდა დაიცვან ინტიმური ცხოვრების ჰიგიენა.

5. 30 წელს გადაცილებულმა ქალებმა თვითონ ¼ პერიოდულად მოისინჯონ ხოლმე სარძევე ჯირკვლები, 40 და 45 წლის ასაკში გაიკეთონ მამოგრაფია, 50 წლის შემდეგ კი მამოგრაფია გაიკეთონ ყოველ ორ წელიწადში.

6. 40 წლის შემდეგ ყოველწლიურად გასინჯეთ ექიმს, რა მდგომარეობაში გაქვთ ხორხი.

7. 40 წლის შემდეგ ყოველწლიურად გამოიკვლიეთ პროქტოლოგთან სწორი ნაწლავი და შეამოწმებინეთ განავალი ფარულ სისხლის დენაზე.

8. 55 წელს გადაცილებულმა მამაკაცებმა ყოველწლიურად უნდა გაიარონ პროსტატის კლინიკური გამოკვლევა.

9. აუცილებლად მიმართეთ ექიმს, თუ შეამჩნიეთ, რომ სხეულზე ხალი გაგიდიდდათ, ფერი შეიცვალა ან სისხლმდენი გახდა.

10. გაასინჯეთ მკერნალ ექიმს შემჩნეული ყოველი მცირე კვანძი და გამკვრივება, სისხლის დაკარგვის აუხსნელი შემთხვევები, უჩვეულო სიმპტომები, ჯიუტად რომ გრძელდება (ყოველგვარი დარღვევა საჭმლის მომნელებელი ორგანოების მხრივ, ხველება და სხვა).

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ-ᲒᲐᲛᲝᲛᲗᲕᲚᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲭᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲔᲗᲘ. რა კავშირი შეიძლება იყოს ეკრანითა და კლავიატურით აღჭურვილ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანასა და ქალის ვარცხნილობას შორის? ყველაზე მეტი, გიპასუხებენ პარიზის ერთ-ერთ საპარიკმახეროში. ამას წინათ აქ დადგეს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა, რომლის დახმარებით კლიენტებს შეუძლიათ წინასწარ, თმის შეჭრამდე, და ვარცხნილობის გაკეთებამდე, ივარაუდონ რომელი ვარცხნილობა მოუხდებათ.

ელექტრონიკის განვითარებამ თანამედროვე ფიგაროს ისეთი საშუალება მისცა, რომელიც მათ წინაპრებს არც დასიზმრებიათ. ამიერიდან ყველაზე ჭირვეული მოდას აყოლილი ქალიც ვეღარ დაადანაშაულებს დალაქს, „ისე ვერ გამოგივიდაო“. პროცედურა საკმაოდ მარტივია: კლიენტი ჯდება ეკრანის წინ, რომელზეც აისახება მისი სახის კონტური და რამდენიმე წამის განმავლობაში თვითონ ამოირჩევს ვარცხნილობას ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მეხსიერებაში ჩადებული ორმოცი ნიმუშიდან.

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲖᲔᲡ ᲓᲐᲯᲣᲯᲐᲕᲡ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ. ელექტროტექნიკურმა კომპანიამ „სანიო ძენკომ“ შექმნა მზის ბატარეებით მომუშავე ავტომობილის საკომერციო მოდელი. ეს მანქანა უორუბლო, მზიან ამინდში 6 საათში იმდენ ენერგიას აგროვებს, რომ მერე შეუძლია 36 კმ გაიაროს 24 კმ სიჩქარით.

ᲛᲐᲛᲑᲝᲠᲛᲚᲘᲐᲜᲘ, ᲝᲠᲗᲝᲓᲒᲠᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ ᲞᲚᲐᲡᲢᲘᲙᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲬᲝᲜᲐ, ᲑᲐᲢᲐᲠᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ 50 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘᲐ.

ᲢᲣᲠᲑᲘᲜᲐ-ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ჩაიარა მდინარე მარუხამის წყლის „გაცოცხლების“ ექსპერიმენტმა ქალაქ იტაკავის მიდამოებში.

ოკინავის უნივერსიტეტის მეცნიერთა რჩევით, მდინარის ერთერთ მონაკვეთზე დაიდგა მცირე ზომის ელექტროტურბინა, იმ ტურბინების მსგავსი, იაპონიაში რომ ხმარობენ გველთევზების მოსაშენებელი წყალსატევების ეანგბადით გამდიდრებისათვის. ექსპერიმენტის შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ტურბინის ქვემოთ, დინების გაყოფებით წყალს გაუქრა უსიამოვნო სუნი და მდინარეში კვლავ სიცოცხლე გაჩნდა.

ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ

ᲐᲕᲨ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ნარკომანი ქალების ნაშობი ბავშვები დაბადებიდან ნარკომანები არიან. თუმცა ნაყოფისათვის საშიშროებას მარტო ნარკოტიკები კი არა, სხვა ბევრი მედიკამენტიც წარმოადგენს, კერძოდ, ვიტამინ A-ს დიდი დოზები და კრუნჩხვების საწინააღმდეგო პრეპარატები. ფეხმძიმე ქალებმა ექიმის რჩევის მიუღებლად არ უნდა იხმარონ არავითარი წამალი, არ დალიონ ალკოჰოლიანი სასმელი.

წამლების მიღება ექვსი უკანასკნელი თვის მანძილზე უფრო იშვიათად იწევეს ნაყოფის განვითარების დეფექტებს, სამაგიეროდ, შესაძლოა ის გახდეს დაბადებისას ახალშობილის წონის სიმცირისა და გონებრივი განვითარების შეფერხების მიზეზი.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲚᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲡᲔᲕᲓᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ

ᲞᲘᲠᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ აღრიანა — ჩვენი გიდი ისე იმოიღბეშებს, თითქოს რაიმე ბრაი ეღოს, უნგრეთის დედაქალაქი რომ ნისლიანი დაგვხვდა.

— სამაგიეროდ, ამ სიღამაზეს ვერ ნახავდით, — იღიმება აღრიანა და ავტობუსით დასავლეთ უნგრეთისაკენ მიმავალთ, გზის პირას ჩარიგებულ ხეებისაკენ, შორიახლო გადაშლილ ტყის მასივისაკენ გვახედებს.

მართლაც იშვიათი სანახაობაა: ნისლისა და სიცივისაგან ტოტებს ჭიანღლი მოსდებია და ერთიანად გადაეთეთებულა გარემო...

* * *

თურმე ვერავითარი სიხარული ვერ შეეღრება იმას, შენი სამშობლოს სიკეთის, ნიჭისა და უნარის შუქი უცხო მიწაზე რომ შემოგანათებს...

...ჩამდგარიყო ნიკო ფიროსმანი შექსპირსა და გოეთეს შუა, ამაოდ ჩამდგარიყო... კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები გამახსენდა იმ წუთს: ...„არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირას დაბადებულთა...“ მერე, ერთმა უცხოელმა გადმოაღებინა ინგლისურენოვანი აღბომი გამყიდველს, ყდაზე „თავადების ქეიფს“ დააკვირდა, გადაფურცლა, მიმოატრიალა, ფული გადაიხადა და ამაყოფილი გავიდა რაკოცის ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზიიდან. ამაყოფილი-მეთქი ვამბობ, რადგან დარწმუნებული ვარ, მან იცოდა ფიროსმანის ფასი, ისე, ტყუილუბრალოდ არ შეიძენდა... ეაე ეატკბეს და ისიამოვნოს ქართული მიწის გენიით...

* * *

...ეს სიხარული კი ქაღაქ სომბათჰეიში მეღიდა, სასტუმრო „კლავდიუსის“ ფოიეში ჟურნალ-გაზეთებს ვათვალიერებ. „ვენგერსკაია ნედელია“ აწერია რუსული შრიფტით ერთ-ერთ გაზეთს. იგი უცხოური ტურიზმის სამმართველოს ორგანო აღმოჩნდა, რამდენიმე ენაზე გამოდის და, კერძოდ, რუსულადაც. უცებ, შიდა გვერდში, მოზრდილმა ფოტომ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ეს ხომ გოგი ხარაბაძეა? კი, ასეა. ფოტოზე სცენაა აღბეჭდილი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისა „რიჩარდ III“, ქვემოთ გაზეთის კორესპონდენტის ინტერვიუა რობერტ სტურუასთან.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში რუსთაველის თეატრის ამ ორი თვის წინანდელი გასტროლების ექო სხვა პერიოდულ გამოცემებშიც ისმის. აი ჟურნალი „ფაკია“. ჟურნალში, სხვათა შორის, რუსთაველის თეატრის გარეა, თბილისის რძის კომბინატზეც წავაწყდით მასაღის, უნგრული ენის სპეციალისტის მ. ჩადუნელის დახმარებით ვგებულობთ, რომ მასაღაში ეაპარაკია იმაზე, თუ რა დიდი ტრადიციები აქვს საქართველოში რძისა და კარაქის, ნაღუღის შინაურულ დამზადებას. ქართველების ღღეგრძელობის ერთ-ერთი მიზეზი, აღბათ, ნაღუღიც არის, რომელსაც მხოლოდ საქართველოში ამზადებენო, — ეკითხულობთ ჟურნალში. იგი უნგრელებს აცნობს აგრეთვე თბილისის რძის კომბინატის ბოლოდროინდელ მიღწევებს.

ჟურნალში მთელი გვერდი ეთმობა მასაღის რუსთაველის თეატრზე.

* * *

...ქართველი ჟურნალისტი (თანაც კუღტურის საკითხებზე მომუშავე) ბუდაპეშტში ჩავიღეს და ეაიომ ტარი არ მოინახულოს, აღბათ, ძნელი დასაჯერებელია. გამგზავრების წინ, რა თქმა უნდა, გავიგე მისი მისამართი და რომ ჩავედი, დაკვირეკე კიღეც. გიხარია საქართველოს, თბილისის ხსენებაზე, მიმიპატიჟა, მაგრამ ამის დრო აღარ იყო და ნახევარ საათში თვითონ მოვიდა სასტუმროში ეს საათნო მოხუცი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, სეგედის უნივერსიტეტის პროფესორის ეაიოშ ტარდის ღვაწღი ფასდაუდებელია ქართული კუღტურის წინაშე. იგი ავტორია წიგნებისა უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. მშობიურ ენაზე თარგმნილი აქვს გრიგორ აბაშიძის რამდენიმე ნოვეღა... (საერთოდ, მთარგმნელობითს საქმიანობას ნაკღებად ეწევა). საქართველოს ბოლოს ამ 7-8 წლის წინათ სწვევია, როდესაც ქართულად გამოვიდა მისი წიგნი „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში“.

..სასტუმროს ნომერში ვსაუბრობთ. უნდა, რომ ყველაფერი მოიგონოს, სათითაოდ გაიხსენოს ქართველი მეგობრები.

— ო, რა ხაღხი იყო: არჩიღ გიგოშვიღი, იღია ვეკუა, ბესო ფღეტნი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ ნონეშვიღი... რა დრო გვიტარებია კარდანახში... აკაკი შანიძე ხომ ჯანმრთეღად არის?.. იგი ცოცხაღი ეეგღია საქართველოსი... რა დახმარებას მიწევდა მარქსის სახეღობის ბიბღიოთეკაში საოცარი ქაღბატონი თამარ მაჭავარიანი... იქვე, ხეღოვნების ისტორიის ინსტიტუტში, ხშირად გადავიოღიდით ხოღმე ვახტანგ ბერიძესთან... ახეა თამარ ვიკიშვიღის ბინაზე შეხვეღრები?... ეეეან მენაბეე როგორ არის? გიორგი ციციშვიღი? კაღგი დრო იყო, არ ვაკეღით ერთმანეთს... თუმცა, ეეეან ეეე

ძიების დრო

მეცნიერულ-ტექნიკურ შემოქმედებაში მონაწილეობა მიიღო 34 ათასმა ავტორმა. გამოყენებულია 28,5 ათასი რაციონალიზატორული წინადადება და 250-მდე გამოგონება. მოსალოდნელი ეკონომიური ეფექტი 110-135 მილიონი მანეთია — დაახლოებით ასეთ მონაცემებს ელიან წელს გამომგონებლთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სპეციალისტები. ჩვენს რესპუბლიკაში გამომგონებლობითა და რაციონალიზაციით ორი ათასზე მეტ პირველადს ორგანიზაციაში 261,4 ათასი კაცია დასაქმებული.

ციფრები ნათელია, მაგრამ ჩვენ მაინც ვთხოვეთ 1986 წლის წინასწარი შედეგების განმარტება **გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ი. ხაზარაძეს:**

—პრობლემები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ობიექტური მიზეზები, რომლებიც ახალი ტექნიკის შექმნის სიძნელეებითა და დამატებითი კაპიტალდაბანდების საჭიროებით არის გამოწვეული, და სხვა სახის, უფრო ზნირი პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია წინდაუხედაობით, არაორგანიზებულობითა და უპასუხისმგებლობით. მაგალითად, გასული ხუთწლედის მანძილზე საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროშ, საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროში, გაზის სახელმწიფო კომიტეტში და სამრეწველო გაერთიანება „საქნახშირში“ არც ერთი გამოგონება არ დანერგილა. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა საქართველოს საზღვაო სანაოსნოში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში“, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში.

სხვათა შორის, გასულ ხუთწლედში გამოუყენებელი დაგვრჩა 150 გამოგონება და 21 ათასი რაციონალიზატორული წინადადება.

— საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა მეთორმეტე ხუთწლედში დაგეგმა სახალხო მეურნეობისათვის უველაზე ეფექტიანი და მნიშვნელოვანი რამდენიმე გამოგონების დანერგვა, წელს კი 250 საავტორო მოწმობა გაიცა. განა არ შეიძლება მათი გამოყენება რეალური ეკონომიკური ეფექტის მისაღებად?

— დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს სამინისტროებსა და უწყებებს საკუთარი წარმოებისათვის დასანერგი გამოგონებები თვითონ რომ დაეგეგმათ, მათი რიცხვი უდავოდ გაზრდიდოდა. სხვათა შორის, დაგეგმვისა და ფაქტობრივი შედეგების შეუთანხმებლობამ გასულ ხუთწლედში ის გამოიწვია, რომ რეალური ეკონომიკური ეფექტი 171,5 მილიონი მანეთით აღემატებოდა დაგეგმილს, და ეს მაშინ, როდესაც ასობით გამოგონება გამოუყენებელი დარჩა.

— გასული ხუთწლედის შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს: მით უმეტეს, დროც მოითხოვს საშეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის დაჩქარებას, მათი რაოდენობა კი დღითი დღე იზრდება. დღეს, როდესაც ხარისხის კონტროლის არასაწყენი ფორმა — სახელმწიფო მიღება დაწესდა, თვალნათლივ გამოჩნდა საწარმოთა სუსტი მხარეები. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების წევრებსაც, ალბათ, დიდი სამუშაო ელით...

— ნამდვილად ასეა. სახელმწიფო მიღების მიერ აღმოჩენილი კონკრეტული ნაკლოვანებები გამოსასწორებელია. ამისათვის საჭირო იქნება სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს „შევუკვეთოთ“ გამოგონებები. ხელშეკრულებები დავდოთ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითს კომპლექსურ ბრიგადებთან ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად. არსებითად ის უნდა დავგეგმოთ, რისი გამოგონებაც საშუალია, საჭიროა.

საკმაოდ დიდი რეზერვებია უმაღლეს სკოლაში. დღეს სტუდენტების სადიპლომო სამუშაოების უმეტესობა მექანიკურად, დამუშავებული მეთოდებისა და სახელმძღვანელოების მიხედვით სრულდება. სასურველი იქნებოდა, რომ ეს სამუშაოები გამოგონებათა დონეზე სრულდებოდეს. ეს თავის წვლილს შემატებდა საინჟინრო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

გამოგონებათა სწორად გაფორმებაში კი ჩვენ დავეხმარებით. ამიტომ გიფართოვდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს საკონსულტაციო პუნქტების ცელი იურიდიულ, ეკონომიკურ და საპატენტო საკითხებში. ჩვენ უფასოდ ვეხმარებით სავარაუდო გამოგონებათა გაფორმებაში.

ალბათ, დროა შევიტანოთ ცვლილებები გამოყენებული გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების საავტორო ანაზღაურებაში. ამ სისტემაში დიდი ხანია ცვლილებები არ მომხდარა.

— ალბათ, გამომგონებლისათვის მოავარი ჯილდო მისი იდეის რეალური განხორციელებაა, როცა ეს იდეა დიდი სახელმწიფო საქმის ნაწილი ხდება. ფართოდ არის ცნობილი მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტომანქანის მოწყობილობა გამოცდილება, სადაც ერთი საამქრო გამომგონებლებს ემსახურება. ახალი ტექნიკა აქ მუშავდება და მზადდება კიდეც ქარხნის ამოცანების გადასაწყვეტად. მისი დანერგვაც, შეფერხებისა და დაგვიანების გარეშე, ქარხანაშივე ხდება. ჩვენს რესპუბლიკაში თუ არის მსგავსი მაგალითები?

— ამჟამად ასეთი მუშაობის საინტერესო გამოცდილებაა შეძენილი საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში, დამიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანებაში, საქართველოს გეოლოგიის სამმართველოში.

სამწუხაროდ, არასაუწყებო საცდელ-ექსპერიმენტული დანერგვის ბაზა საქართველოში ჯერჯერობით არ არის, სხვა რესპუბლიკებში კი აქვთ: ესტონეთში ფირმა „ეფექტი“, ბაქოში — ქარხანა „ნოვატორი“.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მიუხედავად მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებისა, საქართველოს მრეწველობაში ხელის შრომა 50 პროცენტს აღწევს, სოფლის მეურნეობაში — უფრო მეტსაც. მეჩაიეებს ჩვენ ჯერ ვერ ვიცავთ ზაფხულის პაპანაქებისგან, ხერხემლის გამრუდებისა და რადიკულიტისგან. ობრეშუმსაქსოვ მრეწველობაშიც ცხელ წყალთან მუშაობა პროფესიული დაავადებებს იწვევს. ერთი სიტყვით, პრობლემები ბევრია და რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს.

ა. იაკობაშვილი.

ჰუმანიზმის, მეგობრობისა და მშვიდობისათვის

ამ დევიზით გაიმართა ახლახან ქ. მოსკოვში სოციალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის თეატრალურ მოღვაწეთა შეხვედრა, რომლის თაოსანი და ორგანიზატორი იყო საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის საზოგადოებათა საბჭოთა კავშირის განყოფილება.

შეხვედრაზე, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა და დაინტერესებულ, მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, გაიმართა სერიოზული სჯა-ბაასი თანამედროვე თეატრის აქტუალურ პრობლემებზე. ყველა გამომსვლელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თეატრის როლს მასების მოქალაქეობრივი აღზრდის, მშვიდობისა და ჰუმანიზმის, ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

ბევრი რამ ითქვა სოციალისტური ქვეყნების თეატრალურ მოღვაწეთა შორის შემოქმედებითი კონტაქტების შემდგომი გაღრმავების, კავშირის ახალი ფორმების გამოძებნისა და მათი სრულყოფის შესახებ.

განსაკუთრებით აღსანიშნავი და სასიამოვნოა ის ამბავი, რომ ამ შეკრებაზე ბევრი რამ კარგი ითქვა ქართულ თეატრზე და, კერძოდ, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრზე, მის სამხატვრო ხელმძღვანელზე სსრ კავშირის სახალხო არტისტზე რ. სტურუაზე. კერძოდ, უნგრელმა რეჟისორმა ბენედეკ არპადმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმო რუსთაველელთა ბოლო გასტროლებს უნგრეთში. აღინიშნა, რომ გასტროლებს დაესწრო თითქმის ყველა პროფესიონალი და ასეთი მაყურებლის დიდი მომთხოვნელობის მიუხედავად ქართველმა მსახიობებმა უდიდესი შთაბეჭდილება დატოვეს. „ცარცის წრეში“, — აღნიშნა ორატორმა, — ყოველი მსახიობი ქმნის მხატვრულ სახეს, ეს არის უაღრესად ჰუმანური სპექტაკლი.

სასიამოვნო იყო ისიც, რომ ჟურნალ „ტეატრის“ პასუხისმგებელმა მდივანმა მ. შვედკოვმ, ჩამოთვალა რა საბჭოთა თეატრის უკანასკნელი ორი წლის თეატრალური მოღწევები, ისეთ საუკეთესო დადგმებს შორის, როგორიცაა „ვერცხლის ქორწილი“, „ივანოვი“, „სინდისის დიქტატორა“, დაასახელა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი „სოლო ორი ვიოლინოსათვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით“...

რადგანაც შეხვედრაზე ბევრი რამ ითქვა და საინტერესო კამათიც გაიმართა თანამედროვე მსახიობის აღზრდის საკითხებზე, ჩემს გამოსვლაში ყურადღება გავამახვილე იმაზე, თუ რა გზით მიმდინარეობს ქართველ მსახიობთა აღზრდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. აღვნიშნე, რომ თავისი პირველი სპექტაკლი მ. თუმანიშვილმა ი. ფუჩიკის ცნობილი „რეპორტაჟის“ მასალაზე ააგო (რამაც ჩეხი დელეგატის დიდი ინტერესი გამოიწვია), რომ სწორედ მ. თუმანიშვილის ჯგუფის მიერ განხორციელებულმა დადგმამ — „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ დამისახურა საქართველოს კომკავშირის პრემია და სხვა. ვისაუბრე იმაზეც, თუ რა გზით მიმართება ქართული თანამედროვე რეჟისურის ძიებანი, რომ ჩვენი თეატრისათვის დამახასიათებელია ფილოსოფიური, პოეტური სტილისტიკა, რომ ჩვენი თეატრის მოღვაწენი, ითვისებენ რა თანამედროვე მსოფლიო თეატრის მიღწევებს, ამასთანავე იხარჩენენ თავიანთ ეროვნულ სახეს. შევიტანე წინადადება, რომ საგასტროლო ჩამოსული თეატრალური კოლექტივები არ შემოიფარგლონ ხოლმე დედაქალაქით და ჩვენი რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებასაც გააცნონ თავიანთი ნამუშევრები. შეხვედრაზე იგრძნობოდა ქართული თეატრისადმი, საქართველოსადმი დიდი ინტერესი, ბევრი დაინტერესა ჩვენმა ისტორიამ, კულტურამ, მეკითხებოდნენ, რაზე მუშაობენ ამჟერად რ. სტურუა, მ. თუმანიშვილი, გ. ლორთქიფანიძე, თ. ჩხეიძე, რაც იმას მოწმობს, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში საკმაოდ კარგად იცნობენ ჩვენს თეატრალურ ცხოვრებას. ცნობისმოყვარეობით ითვალიერებდნენ უცხო ენაზე გამოცემულ ჟურნალ „საბჭოთა თეატრს“, რომელშიც დაბეჭდილია სცენები სპექტაკლებიდან „რიჩარდ III“ (რუსთაველის თეატრი), „ოტელოდან“ (მარჯანიშვილის თეატრი), „მაკბეტიდან“ (მეტეხის ახალგაზრდული თეატრი).

შეხვედრაზე მიიღეს დეკლარაცია — მიმართავ ყველა თეატრალური მოღვაწისადმი და გადაწყდა, რომ მსგავსი შეხვედრები მოეწყობა ორ წელიწადში ერთხელ სხვადასხვა დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

გამოითქვა აზრი, თუ რა როლს უნდა ასრულებდეს თეატრი ატომური იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, გამოხატეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ატომური იარაღის კოსმოსში გადაქცევისადმი. შეხვედრის მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს საბჭოთა კავშირისა და მომმე ხალხების პროგრამა ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისა და მასობრივი მოსპობის იარაღის 2000 წლისათვის აღკვეთის შესახებ.

შეხვედრაზე აღინიშნა თეატრის როლი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ასახვაში, მომმე ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების, მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში,

ნადია შალუტაშვილი.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საზღვარგარეთთან ურთიერთობის საზოგადოების თეატრალური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

დედაქალაქის საგამოფენო დარბაზებში

აქტიური პოზიციის შემოქმედი

ფინასწარ უნდა ითქვას, რომ გოგი ხუციშვილის შემოქმედებითი სამყარო, თავისი გამომსახველობითი ხერხებით უჩვეულო და უცნაურია, არ ემორჩილება ჩვენს წარმოდგენაში არსებულ სტერეოტიპურ მხატვრულ ნორმებსა და სწორხაზოვან მოდელებს. აქ უნდა გავიხსენოთ ის მნიშვნელოვანი შემთხვევა, რომელმაც ალბათ გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი შემოქმედებითი ბედიღბლის წარმართვაში. ეს იყო პარიზი, სადაც გოგი ხუციშვილმა ერთი წელი დაყო — სტაჟირებას გადიოდა პარიზის კახმულ ხელოვნებათა სკოლაში და სორბონის უნივერსიტეტში, პარალელურად კითხულობდა ლექციებს ქართული ხელოვნების ისტორიაზე. სწორედ მაშინ მთელი სიძლიერით მასში თავი იჩინა ძველმა მისწრაფებამ — მხატვრობამ, იგი ხომ გურამ ეუთათელაძის ნაშეგირდალი იყო. მსოფლიო ხელოვნებასა და მხატვრულ კულტურას, ახალ მიმართულებებს ნაზიარები ხელოვნებათმცოდნე თბილისში დაბრუნების შემდეგ გატაცებით ჰკიდებს ხელს ფუნჯს და ბევრ საინტერესო ნამუშევარს ჰქმნის.

იყო ერთდროულად პროფესიონალი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე, ალბათ ძნელი შესათავსებელი და რთული საქმეა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არც ისე ზმირად შეეგვიდრივართ მსგავსი დონის „ჰიბრიდს“, უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს ისეთი მოვლენასთან, განსაკუთრებულ შემთხვევასთან. განსაკუთრებულთან იმიტომ, რომ გოგი ხუციშვილი დიდი პასუხისმგებლობითა და მიზანსწრაფვით ეკიდება იმას, რასაც საყვარელი საქმე ჰქვია. მას აქტიური, გამაკვეთილი პოზიცია აქვს და საზოგადოებრიობაც ყოველთვის ცოდაც ახალ ელის მისგან.

ასეთ შემოქმედთან შეხვედრა ყოველთვის საინტერესოა, თუნდაც იმის გამო, რომ ნაწილობრივ მაინც დადგინდეს: არსებობს თუ არა, ერთი მხრივ, ხელოვნებათმცოდნის თეორიულ შეხედულებებსა და მისი „თანაავტორი“ მხატვრის პრაქტიკულ მრწამს შორის ორგანული ერთიანობა, თუ იგი დარღვეულია რაიმე სპეციფიკური თვალსაზრისით. რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? გოგი ხუციშვილი აქაც თავისი პრინციპების ერთგულია. მართალია, იგი საკუთარ შეხედულებებს არასოდეს აბვევს თავს სხვებს, არც სათქმელს ამბობს ბოლომდე, მაგრამ მისი კრიტერიუმები და მხატვრობა ერთ შენაგნობს წარმოადგენს. ასეთად რჩება ხელოვნებათმცოდნეობაშიც და მხატვრობაშიც, მაგრამ, რადგანაც ჩვენ ახლა ხელოვნებათმცოდნე გოგი ხუციშვილის შეფასებას არ ვაპირებთ, უფრო გვაინტერესებს რა მიზანს ისახავს და როგორია როგორც მხატვარი, მოდით შევიხედოთ მხატვრის სახლში, სადაც მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენაა.

პირველი, რაც თვალში გეცემათ, ეს არის მკაცრი რეალიზმი, მხატვრისეული ფილოსოფიური განწყობით გადმოცემული. ამ ნამუშევრებში, რომლებიც უფრო ფსიქოდრამატულ ნოველებს ჰგავს, განდევნილია და საერთოდ არ იგრძნობა ნაცნობი ლირიზმი, ვიზუალურად ფერადოვანი, იდილიური გამა, თვალისდამამშვიდებელი კომპოზიციური აქსესუარები. მხატვრის ექსცენტრიული სტილი, ხატვის მანერა, რომელიც ვლინდება ნახატებში ფორმათა უჩვეულობით, ძმიმე და გაუხეშებული, პირველყოფილურ ფერთა ქაოსური მონაცვლეობით, არავითარ დოგმას და სტანდარტს არ ემორჩილება, რაც უფრო მეტი სიმძაფრით არის გამოკვეთილი ნამუშევარში ფერებისა და ფორმების შეხების წერტილები, მათი ერთ სიბრტყეზე გამობატვა, მით უფრო აღწევს მხატვარი მიზანს. ისეთი შეგრძნება გეუფლებათ, თითქოს ეს ტილოები საკუთარი მოჩარჩოების საზღვრებს სცილდება და გარკვეულ მატერიად იქცევა, სადაც ცოცხლდებიან მოვლენები, სიტუაციები, მოვრნტები — თანამედროვეთა სახეები, მათი ცხოვრების წესი, ჩვევები, ვნებათაღელვანი...

მხატვარი გვევლინება ჩვენეული ყოფის თავისებურ ფსიქოლოგად და ოპონენტად, გამოსახავს თავისეული ხერხებით ამხელს ჩვენს ადამიანურ სამყაროში არსებულ ძალმომრეობას, სიხარბეს, სიცრუეს, თვალთმაქცობას, ცინიზმს, სულიერ სიღატაკეს და ა. შ.

ადამიანს უამრავი პრობლემა აწუხებს ამქვეყნად. მის ყოფაცხოვრებაში გამჯდარ უარყოფით ჩვევებს ემატება სტიქიური უბედურებანი და, რაც მთავარია, ახალი დამაგრეველი ომის საშიშროება, იოდევეა ეკოლოგიური წონასწორობა, გლობალურად იცვლება პლანეტის სახე. ყოველივე ეს თავმოყრილია გოგი ხუციშვილის მამხილებელ ნახატებში. მწვავედ და დამაფიქრებლად, შეულამაზებლად და თავისებური რეალიზმით მხატვარმა მედლის მეორე მხარე გამოსახა განსასჯელად. ამით მთელ მის შემოქმედებას ჩვენს ყოფაში არსებული უარყოფითი მოვლენების გამო გამოწვეული გულისტკივილი და დაკარგულის ან გაუჩინარების მიჯნამდე მისულის ნატვრა ატყვია. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს მხატვრის შემოქმედებაში ნაკლები იყოს ოპტიმისტური ელფერადობის ნამუშევრები. ყველა ამ ტილოს გამოსახვის სტილისა და ტექნიკური ხერხების ერთიანობა ახასიათებს.

როგორც ვხედავთ, გოგი ხუციშვილს შემოქმედების თემატიკაზე არ ითქმის შეზღუდული და კამერულიაო, მასში ჩვენი თანამედროვის საფიქრალი და სატკივარი შეიგრძნობა, ამიტომაც ზოგადი მნიშვნელობისა და ხასიათისაა.

რ. თიგიზოვი,

გამომცემლობა „ხელოვნების“ ახალგაზრ ხელოვნების რედაქციის გამგე.

ვეცნიერები ეძიებენ

ყველაფერი თოვლის შესახებ

ფთის მდინარეების ბზიფისა და კოდორის ზემო წელში თოვლის საფარმა შეიძლება მიაღწიოს 7-8 მეტრ სიმაღლეს, ქობულეთის ქედსა და მდინარე სუფსის ზემო წელში კი ოდნავ ნაკლებს — შვიდ მეტრს. შედარებისათვის ალვნიშნავთ, რომ ნამქერითა და ზვავებით ცნობილი ჯვრის უღელტეხილის ფარგლებში თოვლი 3,5-4,5 მეტრს არ აღემატება. სამაგიეროდ აქ თოვლი 120 დღეზე მეტ ხანს ძევს წელიწადში, მაშინ როცა იმავე ქობულეთის ქედზე არაუმეტეს თხუთმეტი დღისა ყველაზე მკაცრ ზამთარში.

როგორი იქნება თოვლის საფარი კავკასიონის სხვა რაიონებში.

— საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთის ბარში 2-4-ჯერ მეტი თოვლი მოდის, ვიდრე ამიერკავკასიის ბარში — თქვა ჰიდროლოგიის განყოფილების გამგემ, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვახტანგ ცომაიამ. — ან რა გასაკვირია, როცა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთმანეთს ხვდება ჰაერის თბილი და ცივი ნაკადები, რომლებმაც შემოაღწიეს კავკასიონის მთავარი ქედის გვერდის ავლით, აქ იწყება ამინდის „ორომტრიალი“. თოვას ჰქვა-ქუსილიც კი ენაცვლება. ასეთი რამ მოხდა გასულ 21 დეკემბერს თბილისის რაიონში. ქალაქის თავზე სხვადასხვა სიმაღლეზე შეეჯახნენ ერთმანეთს ჰაერის ცივი და თბილი უსტენიანი მასები. ქვემოთ ქარბუქი მძვინვარებდა, ზემოთ ქუხდა... მახლობელი მთები თოვლით დაიფარა.

ზამთარში საქართველოს ტერიტორიაზე 75 მილიონ კუბურ მეტრამდე თოვლი გროვდება, ცალკეულ წლებში კი ას მილიონ კუბურ მეტრამდეც კი აღწევს. ასეთი დიდი მარაგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესპუბლიკის ეკონომიკაში. მდნარი წყალი ავსებს წყალსაცავებს ენერგეტიკისა და ირიგაციის საჭიროებებისათვის. ეს ამიერკავკასიის ვრცელი რეგიონების წყალმომარაგების ძირითადი წყაროა.

თოვლისა და მასთან დაკავშირებული ამინდის მოვლენების შესახებ ყველა ცნობა მოყვანილია ცნობარში, რომელიც ინსტიტუტის მეცნიერებმა შეადგინეს. მას ასევე ეწოდება. „კავკასიონის მთებში თოვლის საფარის ცნობარი“. იგი მეცნიერებისათვის, ენერგეტიკოსებისა და მშენებლებისათვის, წყალთა მეურნეობის სპეციალისტებისათვის შეიცავს განზოგადებულ მონაცემებს, რომლებიც გლაციოლოგიური ექსპედიციების მონაწილეებმა, კერძოდ, საქართველოს ამინდის სამსახურებმა შეაგროვეს მესამედ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე.

ჯ. ცხომელიძე,

(საქინფორმის კორ.).



„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ოარი პეიზაჟი.

ზ. დათუაშვილის ფოტო.

მამამთავარ მაგალითი შვილებს

ქართველი კონსტრუქტორი

დიდი სამამულო ომის განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლების ადგილებზე ახლა ხშირად შეხვდებით გრანიტის კვარცხლბეკზე შედგმარ ტანკებს, საბჭოთა ტანკისტების გასაოცარი ვაჟკაცობისა და გმირობის ერთგვარ ნათელ სიმბოლოდ რომ აღმართულან.

და ეს გასაგებიცაა, რადგან ფაიზმზე გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულეს მძიმე ტანკებმა, რომელთა მხიზვნელოვანი ნაწილი ლენინგრადის კიროვის სახელობის ცნობილ ქარხანაში მზადდებოდა. ავტორთა კოლექტივში კი, რომელიც ომისწინა წლებში ქმნიდა სამამულო საომარ ტექნიკას, ჩვენი თანამემამულე, ხიკიერი კონსტრუქტორი და ჩინებული ორგანიზატორი დავით კეკელიძეც გახლდათ. მის ერთ-ერთ სამსახურებრივ დახასიათებაში ვკითხულობთ: „დ. კეკელიძე შრომისმოყვარე, სხარტი გონებისა და აზროვნების კონსტრუქტორია, რომელსაც ძალუძს ურთულესი პრობლემების გადაჭრა“.

ვინ იყო დავით კეკელიძე, როგორ მოხდა იგი კიროველთა ცნობილ კოლექტივში?

მან, ზუგდიდელი ფირშლის დიმიტრი კეკელიძის ექვსი შვილიდან ერთ-ერთმა, 15 წლისამ შვიზღვისპირა რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა და მალე შეისწავლა ელექტრომონტიორისა და სატელეგრაფო ხაზების ოსტატის სპეციალობანი. ხელმძღვანელობა ძმაყოფილი იყო მისი საქმიანობით, დაწინაურებასაც უპირებდნენ, მაგრამ ყმაწვილს უფრო დიდი მიზნები ჰქონდა, და ერთ შშვნიერ დღეს, ასეთი გზაც გაეხსნა: ბათუმში პრაქტიკაზე ჩამოსულ ლენინგრადელ სტუდენტებს გაეცნო და მათი მომავალი პროფესიით დაინტერესდა. გაეცნობას საქმიანი წინადადება მოპყვა — სტუდენტებმა ლენინგრადში სწავლას გაგრძელება შესთავაზეს დავითს. აეიც მოხდა.

1931 წელს ლენინგრადის გზათა ინსტიტუტის საპაერო ნაოსნობის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის დავით კეკელიძის რაციონალიზატორული წინადადება ცხრაფად დაინერგა, ავტორმა კი სამაგალითო სწავლისა და საქმისადმი ნოვატორული დამოკიდებულებისათვის ფულადი ჯილდო და ინსტიტუტის რექტორატის მადლობა დაიმსახურა...

ზოგჯერ ცხოვრებაში გვხვდება ადამიანები, რომლის პიროდი მაგალითი და პროფესიონალიზმი, სამშობლოს ერთგულება და სიყვარული ბევრად განაპირობებს შენს მომავალ საქმიანობასაც და წარმატებასაც. დავით კეკელიძისთვის ასეთი კერპი იყო სამხედროტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორი, სოციალისტური შრომის გმირი ეროზეფ კოტინი — სახელგანთქმული კონსტრუქტორი და გამომცდელი, რომლის სახელიც ღიისეულად იხსენიება საქვეყნოდ ცნობილი კონსტრუქტორების — ტუპოლევის, ლავოჩკინის, მიქოიანის, იაკოვლევის, ილიუშინისა და სხვათა გვერდით. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა დ. კეკელიძე.

საბჭოთა ქვეყანას ომი ემუქრებოდა. ზემდგომი ორგანოების მითითებით სამხედრო მრეწველობას უმოკლეს ხანში უნდა შეექმნა და სერიულად გამოეშვა მძლავრი სატანკო ტექნიკა. დ. კეკელიძე ხშირად იგონებდა, რომ 15-16 სამუშაო საათი მაშინ ჩვეულებრივი იყო ჟ. კოტინის საკონსტრუქტორო ბიუროში. თავდაუზოგავმა შრომამ და ძიებამ ბევრი რამ შეაძლებინა ძირითადად ახალგაზრდებისაგან შემდგარ კოლექტივს. კონსტრუქტორი თვითონაც თავდადებით მუშაობდა და კოლეგებისგანაც ამასვე მოითხოვდა.

ოპერატიულად იქმნებოდა ნახაზები, მაკეტები, ასევე ოპერატიულად სცდიდნენ ახალ მანქანებს პოლიგონზე. ასეთ დაძაბულ სიტუაციაში შეიქმნა სახელგანთქმული მძიმე ტანკები „სმკ“ (სერგი მირონის ძე კიროვი) და „კვ“ (კლიმენტი ვოროშილოვი).

ეს უკანასკნელი აღჭურვილი იყო დიზელის საწვავიანი ძრავით, რაც პირველი იყო ტანკშენებლობის მსოფლიო პრაქტიკაში.

ომის მძიმე წლებში, როცა ქ. ლენინგრადი ბლოკადაში მოექცა, ქარხნის დიდი ნაწილი ურალში გადაიტანეს. სატანკო მრეწველობის სახალხო კომისრის მაშინდელი მოადგილის ეროზეფ კოტინის პირადი განკარგულებით დავით კეკელიძე, როგორც სატანკო საქმის გამოცდილი სპეციალისტი, სპეციალური დავალებით მიავლინეს დასავლეთის ფრონტზე. 1942 წელს იგი უკვე ამერიკაკანადაში. მივლინების მოწმობას თან ახლდა საგანგებო დოკუმენტი, რომლითაც მინისტრის მოადგილე სთხოვდა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობას ყოველმხრივ დახმარებოდნენ კონსტრუქტორ დ. კეკელიძეს.

დ. კეკელიძის — კონსტრუქტორისა და გამომგონებლის გზაზე იყო ბევრი წარმატებაც, რასაც მრავალი ჯილდო ადასტურებს, და სიძნელეებიც.

დავით კეკელიძემ ორმოცი წელი იმუშავა საკონსტრუქტორო ბიუროში. ამ ხნის მანძილზე მან შექმნა მრავალი ისეთი იგრეგატი და ძრავა, რომლებიც თვით გამოცდილი სპეციალისტებისა და პრაქტიკოსების დიდ შეფასებას იმსახურებდა.

მისი იდეით შეიქმნა ტანკის ორიგინალური, ორსაფეხურიანი იგრეგატი. სისტემა იმდენად ეფექტიანი გამოდგა, რომ იგი უმალ დაინერგა მთელ სატანკო მრეწველობაში. დ. კეკელიძის გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რეალიზაციით ქვეყანამ ათმილიონობით მანეთი დაზოგა.

ცალკე საუბრის თემაა ის, თუ როგორ ეხმარებოდა იგი ახალგაზრდებს, განსაკუთრებით კი საქართველოდან ჩამოსულ სტუდენტებს. ბევრი მათგანი დღეს მადლიერებით იხსენებს აწ განსვენებულ სახელოვან ქართველ კონსტრუქტორს, რომელმაც გზა გაუკვალა და პროფესიის არჩევაში დაეხმარა მათ.

დ. კეკელიძეს სამი შვილი დარჩა. მართალია, არც ერთი მათგანი არ გაპყოლია მის პროფესიას, მაგრამ სამივემ სხვა დარგში, კერძოდ ხელოვნებაში გამოიჩინა თავი. უფროსი ვაჟი ვახტანგი კიროვის სახელობის აკადემიური თეატრის დამდგმელი მხატვარი იყო და მისი ნამუშევრების გამოფენის ამას წინათ დიდძალი ხალხი დაესწრო ქ. მოსკოვში. გამოფენის გახსნის ტელეტელეტრანსლაციი „ვრემიამ“ გადმოსცა. ქალიშვილი ელეონორა ბალეტმაისტერია და ამჟამად ლენინგრადის მცირე თეატრის პედაგოგია, ხოლო ანდრია ვიოლინიზე უკრავს და ლენინგრადის ფილარმონიის სოლისტია.

შორეულ ჩრდილოეთში, ლენინის ქალაქში მცხოვრები ქართველის — დავით კეკელიძის ოჯახი ერთ-ერთი ნიმუშია სამშობლოს ერთგული სამსახურისა, პატრიოტიზმის და თავდადებისა. ამიტომ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად მოგვეგონებინა იგი ამ პატარა წერილით.

ი. ჩიქავა,

პროფესორი, დიდი სამამულო ოქის ვეტერანი.

ყაბალი

ა. ზავაროვი — № 1 ფეხბურთელი

ყოველკვირეულმა „ფუტბოლ-ხოკეიმ“ უკვე ოცდამესამედ ჩაატარა თავისი რეფერენდუმი და 1986 წლის საფეხბურთო სეზონის მიხედვით გამოავლინა ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა. ტრადიციულად მიმოხილველები ასახელებდნენ სამ საუკეთესო მოთამაშეს. წარმოდგენილ ანკეტებში ყველაზე მეტი — 357 ქულა დააგროვა კიევის დინამოელმა ალექსანდრე ზავაროვმა და იგი სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად ცნეს. მეორე და მესამე ადგილებზეც კიეველები არიან დასახელებულნი: იგორ ბელანოვი (313 ქულა) და ოლეგ ბლოხინი (81).

ახლა კი გთავაზობთ ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეის“ ყველა რეფერენდუმში გამარჯვებულთა სრულ სიას:

1964 ვალერი ვორონინი (მოსკოვის „ტორპედო“).
1965 ვალერი ვორონინი (მოსკოვის „ტორპედო“).
1966 ანდრია ბიბა (კიევის „დინამო“).
1967 ედუარდ სტრელცოვი (მოსკოვის „ტორპედო“).
1968 ედუარდ სტრელცოვი (მოსკოვის „ტორპედო“).
1969 ვლადიმერ მუნტიანი (კიევის „დინამო“).
1970 ალბერტ შესტერნინოვი (ცსკა).
1971 ევგენი რუდაკოვი (კიევის „დინამო“).
1972 ევგენი ლოგინეკი (მოსკოვის „სპარტაკი“).
1973 ოლეგ ბლოხინი (კიევის „დინამო“).
1974 ოლეგ ბლოხინი (კიევის „დინამო“).
1975 ოლეგ ბლოხინი (კიევის „დინამო“).
1976 ვლადიმერ ასტაპოვსკი (ცსკა).
1977 დავით ყიფიანი (თბილისის „დინამო“).
1978 რამაზ შენგელია (თბილისის „დინამო“).
1979 ვიქტორ სტარუხინი (დონეცკის „შახტიორი“).
1980 ალექსანდრე ჩივაძე (თბილისის „დინამო“).
1981 რამაზ შენგელია (თბილისის „დინამო“).
1982 რინატ დასაევი (მოსკოვის „სპარტაკი“).
1983 ფიოდორ ჩერენკოვი (მოსკოვის „სპარტაკი“).
1984 გენადი ლიტოვჩენკო (დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“).
1985 ალექსანდრე დემიანენკო (კიევის „დინამო“).
1986 ალექსანდრე ზავაროვ